საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 54 (19496) ◆ სამშაბათი, 4 მარტი, 1986 წ. ◆ ფასი 4 კაპ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1986 წლის 3 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნიკოლოზ იváნეს ძე რიჟკოვმა. მოხსენება დამაწერეთ მოისმინეს- დიდი ყურადღებით. მოხსენების დროს არაერთგზის გაისმოდა ტაში.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა. კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები ი. ნ. ხრისტორადნოვი — სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ამანოვი — გაერთიანება „აზერბაიჯანნავთობის“ ალი-ბაირამლის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოსტატი, კ. ვ. შროლოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნ. ს. კონარევი — სსრ კავშირის გზათა მინისტრი.

ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები ბაიარდო არსე კასაბანიო — ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის აღმასრულებელი კომისიის ვიცე-კოორდინატორი, როდნეი არისმენდი — ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

• • •

სალამოს სხდომაზე გრძელდებოდა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ მოხსენების განხილვა.

ყრილობაზე გამოვიდნენ ამხანაგები ა. პ. ლიაშკო — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მ. პ. ტრუნოვი — ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე, ვ. ვ. კოროლიოვა — ტულის ოლქის ზაოკსკის რაიონის კიროვის სახელობის ჯეშთანაშენე-კოლმეურნეობის მწველავი, პ. ს. ფედორკო — სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. მპიორიცი — სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრი, ვ. ი. გორინი — ბელგოროდის ოლქის ბელგოროდის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები ხარილაოს ფლორაკისი — სახერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ალფრედ ნზო — სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის გენერალური მდივანი.

ყრილობას შექმნა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესწორებათა და დამატებათა განხილვისა და ამ საკითხზე დადგენილების პროექტის მომზადების კომისია.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1986-1990 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 2000 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

რიჟკოვი ნ. ი.
ალიოხინი ვ. ბ.
ალიევი ჰ. ა.
ამანოვი ა. ვ.
ანტონოვი ა. კ.
ბაკინი ბ. ვ.
ბალმოსნი ბ. ვ.
ბაბალინი ი. ბ.
ბატურინა ვ. ი.
ბასირევი ვ. ვ.
ბირიუკოვა ა. კ.
ბლოხინი ნ. ნ.
ბოგიკოვი ნ. ფ.
ბურინკოვი ს. ბ.
ბალანინი ბ. ნ.
ბორბაჩოვი მ. ს.
ბოსტონი ბ. ი.
გრომიკო ა. ა.
დემიჩევი პ. ნ.
დინკოვი ვ. ა.
დოლგიხი ვ. ი.
დრომალი ნ. ბ.
დუნაევი ა.
ელცინი ბ. ნ.
ერმეკოვი ნ. ს.
ვასილიევი ნ. თ.
ვლადიმიროვი ბ. ბ.
ვოლსკი ა. ი.
ვორონინი ლ. ა.
ვორობიოვი ვ. ი.
ზაიკოვი ლ. ნ.
ზიმიანინი მ. ვ.
ზნამენსკი ი. ს.
ზოლოტუხინი ბ. ს.
იაგოდინი ბ. ა.
იასტრებოვი ი. პ.
იუსუპოვი მ. ი.
კადიროვი ბ. ხ.
კალინინი ი. ბ.
კაპიტონოვი ი. ბ.
კლიუევი ვ. ბ.
კოვალიოვი მ. ვ.
კოლესნიკოვი ა. ი.
კოლესნიკოვი ბ. ი.
კოლესნიკოვი ბ. ბ.
კოლესნიკოვი ბ. ბ.
კოლესაკოვი ს. ბ.
კონარევი ნ. ს.
კონოვალოვი ბ. ბ.
კოკაინოვი ბ. ა.
კუზნეცოვი ვ. ა.
კუნაევი დ. ა.
ლიონოვი ვ. ს.
ლიაშკო ა. პ.
ლიგაჩოვი ი. კ.
ლისიცინი ვ. ვ.
მაიორეცი ა. ი.
მამამასულოვი ს.
მასლიუკოვი ი. დ.
მელნიკოვი ა. ბ.
მოძაევი ბ. ბ.
მორეზოვი ნ. ი.
მოტორნი დ. ბ.
ნაზარბაევი ნ. ა.
ნიკოლოვი ბ. ა.
ნიკონოვი ვ. ბ.
პაპუნიძე ვ. რ.
პეტროვი ვ. ი.
პიმენოვა ა. ბ.
პონომარიოვი ბ. ნ.
პოსტორონკო ი. ბ.
რუბანი ნ. ი.
სამონკინი ნ. ი.
საგდიევი მ. რ.
სარიანი ვ. ბ.
საკალაუსკასი ვ. ვ.
სალიმოვი ა. უ.
სარჭისიანი ფ. ტ.
საული ბ. ი.
სეიდოვი ბ. ნ.
სილაევი ი. ს.
სისოკინი ა. ს.
სმირნოვკოვი მ. ს.
სოკოლოვი ს. ლ.
სოლოვიენცევი მ. ს.
ტალიზინი ნ. ვ.
ფაუსტოვი ვ. ა.
ფედორკო ბ. ს.
ქართველიშვილი დ. ლ.
შაპიროვი ლ. ბ.
შევარდნაძე ე. ა.
ჭეკალინი ვ. ი.
ჭიკოვი მ. ი.
ხაზოვი ს. ბ.
ხოჯამურადოვი ა.
ხოდირევი ვ. ი.
ხრისტორადნოვი ი. ნ.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

1 მარტის

დილის სხდომა

სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. **სოკოლოვი.** სკკპ XXVII ყრილობა, თქვა მან, „ამკვიდრებს და კვლავაც ავითარებს თვისებრივად ახალ, შემობრუნებითს ეტაპს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში დიადი კომუნისტური მიზნების მიღწევისათვის.

არმისა და ფლოტის მეომრები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პოლიტიკურ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მიზნებსა და ამოცანებს, მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

პირობებში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები არა მარტო უარყოფენ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს, არამედ აძლიერებენ კიდეც საომარ მზადებას, აშკარად აცხადებენ სოციალიზმს, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, ლიკვიდაციის კურსს, საჭიროა, რომ ჩვენს პოლიტიკაში მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლა კვლავაც ორგანულად იყოს შეჯამებული ყოველი აგრესორის მტაცეცი უკუგდებისათვის მზადყოფნასთან.

ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი არის ომებისა და სამხედრო საფრთხის წყარო, დღესაც სწორია. ეს საბჭოთა ადამიანებისა და ჩვენი შეიარაღებული ძალებისაგან ამოიზრდა დიდ სიფხიზლესა და მუდმივ მზადყოფნას სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

წინათ ითვლებოდა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც აგრესიულ გეგმებს ადგენენ, ომისათვის უფრო მომზადებული იყვნენ, ვიდრე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები. ამას ვერ ეურიგდებოდით წარსულშიც. თანამედროვე პირობებში კი ეს მით უფრო შეუწყნარებელია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონე იხმარს, რათა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები იყვნენ დონეზე, რომელიც გამორიცხავს იმპერიალიზმის ძალების სამხედრო უპირატესობას, რათა ყოველმხრივ იხვეწებოდეს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა.

სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების საფუძველთა საფუძველია სამხედრო მშენებლობისადმი, შეიარაღებული ძალებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა და ხორციელდება პოლიტიკა ქვეყნის თავდაცვის დარგში, საბჭოთა სამხედრო დოქტრინა, რომლის მიზანია გარეგან თავდასხმისაგან დაცვა. ჩვენს მოვალეობად მიმაჩნია ყრილობას მოვახსენო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და უწინარეს ყოვლისა პოლიტბიუროო, თავდაცვის საბჭო ღღენიადაგ, კონკრეტულად, ღრმად და მომთხოვნელად განიხილავენ შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და მომზადების საკითხებს. ჩვენი პარტიის საქმიანობის დამაჯერებელი შედეგი, საოკეანეებელი ყველა სიძნელეს.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერების უშრეტი წყაროა მათი განუყრელი ერთიანობა ხალხთან. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ მხოლოდ მთელი ხალხის მეცადინეობით, პარტიის ხელმძღვანელობით შეიძლება მოვამზადოთ და უზრუნველვყოთ სოციალისტური სამშობლოს წარმატებული დაცვა.

საყოველთაო ზრუნვით გარემოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, განაცხადა დასასრულ მინისტრმა, კვლავაც ფხიზლად იდგებიან მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე. ჩვენ ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით მთავონებული მისი შრომა სამედოდ იქნება უზრუნველყოფილი.

ვიდრე ამ ტრიბუნაზე გამოვიდოდი, ბევრ რამეზე ვიფიქრე ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნა სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ვ. პეტროვმა.** ყრილობის ნამდვილი ბოლშევიკური ატმოსფერო საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ ჯეროვნად შევაფასოთ, ახლებურად მივუდგეთ ბევრ საკითხს.

ორატორი შეეხო მომქმედი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პრობლემებს. აქ მთავარია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ არ არის კოლექტივების ეკონომიური დაინტერესება უმაღლესი საბოლოო-სამეურნეო შედეგის უზრუნველყოფით. ყველას აღელვებს ხარისხის პრობლემა. მაგრამ მარტო პოლიტიკური და ადმინისტრაციული მეთოდებით ვერაფერს გავხდებით, სამეურნეო მექანიზმი კი საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

ახლახან აქტივზე, რომელმაც განსაზღვრა დასავლეთ ციმბირის ნავთობგაზის კომპლექსის განვითარების დაჩქარებისათვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, მწვავედ დავაყენეთ საკითხი მილების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. როცა გავერკვიეთ, აღმოჩნდა, რომ თუმცა ქარხანას უკვე დღეს ურკინსტრუქციოდ შეუძლია პროდუქციის გამოშვება საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე, მაგრამ ამ დროს მას შეუმცირდება მოცულობითი მაჩვენებლები, მაშასადამე, წახალისების ფონდებიც. აქ საქმე გვაქვს ეკონომიკურ პარადოქსთან. რაც უფრო უმჯობესია მომზმარებლისათვის, და მაშასადამე სახელმწიფოსათვის, მით უფრო უარესია მწარმოებლისათვის, და ასეა თითქმის ყველგან. მომავალ პერიოდში უნდა გახდეს ნორციელოთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, მაგრამ დღესაც ხომ საიჯარო ორგანიზაციები ეკონომიკურად არა თუ არ არიან დაინტერესებული ამით, არამედ პირდაპირ ბარალსაც განიცდიან და ამიტომ ყოველგვარი საბაბით ცდილობენ თავი აარიდონ მასში მონაწილეობას.

ორატორმა გააანალიზა კაპიტალურ მშენებლობაში საქმის ვითარება. უკვე 14 წელია გეგმებს ვერ ასრულებს ოლქის წამყვანი საიჯარო ორგანიზაცია— სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მთავარშუალურამშენი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრავალგზისი მოხსენები კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების, საიჯარო ორგანიზაციათა სიმძლავრეებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეწოდებისა-წორების შესახებ პრაქტიკულად არ სრულდება.

ახლა მომქმედებს ასეთი პრაქტიკა — შეკვეთას იძლევა ერთი, პროექტებს მეორე, გეგმავს მესამე, აფინანსებს მეოთხე. მაგრამ საინვესტიციო პროცესის მონაწილეთა აგან, გარდა მოჯარისა, ეკონომიკური პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არავის არ ეკისრება. ასეთი სისტემის პირობებში გვიძნელდება წარმატების იმედი ვიქონიოთ. კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების საკითხი, ხაზგასმით აღნიშნა ი. ვ. პეტროვმა, ჩვენი აზრით, იმსახურებს სპეციალურ განხილვას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქმე ეხებოდეს უაღრესად სამეურნეო საკითხებს. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ თუ არ სრულდება გადაწყვეტილებანი, თუ წლობით მწიფდება და არ წყდება პრობლემა, თუ მასების ინიციატივა ყოველ ნაბიჯზე აწყდება ინსტრუქციებისა და ცირკულარების ბარიკადებს, მაშასადამე, არიან კონკრეტული უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანები, რომლებსაც რაღაც მიზეზის გამო არ შეუძლიათ ან არ სურთ ფეხდაფეხ მიჰყვნენ დღის მოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში დასახელებულია უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. ორატორმა შემოიტანა წინადადება: თითოეული მათგანის გადაწყვეტისათვის დაინიშნოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რათა საქმით შესრულდეს ერთ-ერთი მთავარი ლენინური მოთხოვნა: ხელმძღვანელობა კოლექტიური — პასუხისმგებლობა პერსონალური.

სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებაში საიმედო ინსტრუმენტი უნდა გახდეს სახელმწიფო დაგეგმვა, და არა „მიღწეულის“ მიხედვით, როგორც ახლა ხდება, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ორატორმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს ქვეყნის ყველა ტერიტორიის სოციალური განვითარების საგულდაგულო ანალიზი და უკვე ამ საფუძველზე, კლიმატური, ეროვნული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, შევიმუშაოთ პერსპექტიული და წლიური გეგმები, გამოვყოთ შესაბამისი რესურსები.

გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიფიქროთ სამეურნეო მართვის ტერიტორიული ორგანიზაციის შექმნის ღონისძიებანი. უამისოდ დარგობრივი და ადგილობრივი ინტერესების მჭიდრო შეჯამების აუცილებლობის ყველა მოთხოვნა ფუჭ სიტყვებად რჩება, როგორც ახლა ხდება ეს.

სვერდლოვსკის ოლქის დელეგაცია, თქვა დასასრულ ი. ვ. პეტროვმა, მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს.

სულით ხორცამდე ამაღელვა ამან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება გამსჭვალულია დიდი ზრუნვით თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, მსოფლიოს ბედისათვის, თქვა ფსკოვის № 1 საოლქო საგადმყოფოს განყოფილების გამგემ **მ. ი. ჟელნინამ.** მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს კიდევ არაერთხელ დაუბრუნდებით, ვიფიქრებთ ნათქვამზე.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 53).

(გაგრძელება მე-5 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჟ. ბატმუნხს

1 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. ბატმუნხს.

ჟ. ბატმუნხმა დიდად შეაფასა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის საერთაშორისო მნიშვნელობა. მან მთლიანად დაუჭირა ხმარი ყრილობაზე წამოყენებულ ქვეყნად მშვიდობის, ხალხთა სოციალური პროგრესისა და ეროვნულ განთავისუფლების უზრუნველყოფის ფართო და კონსტრუქციულ კონცეფციას.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესწორებათა და დამატებათა განხილვისა და ამ საკითხზე დადგენილების პროექტის მომზადების კომისია.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ვ. იარუზელსკის

1 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მეგობრულად შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. იარუზელსკის, რომელიც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციას სკკპ XXVII ყრილობაზე.

ვ. იარუზელსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მასშტაბურია ყრილობაზე განსახილველად წარმოდგენილი ამოცანები, რა თვალსაჩინო ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის ახალ რედაქციას, რომელშიც განსახიერებულია სსრ კავშირში სოციალიზმის თითქმის სამოცდაათი წლის მშენებლობის გამოცდილება.

პოლონეთის ხელმძღვანელმა თქვა, როგორ საქმიანობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ქვეყანაში სოციალიზმის პოზიციების განსამტკიცებლად, პარტიის X ყრილობისათვის მოსამზადებლად, აღნიშნა, თუ როგორ მიმდინარეობს დისკუსია უმაღლესი პარტიული ფორუმების განსახილველად შეტანილი პროგრამისა და სხვა დოკუმენტების პროექტების გარშემო.

მ. ს. გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი სოლიდარობით ეკიდებიან პოლონელ კომუნისტთა, მშრომელთა მეცადინეობას სოციალისტურ მონაპოვართა განმტკიცებისათვის, რომ ისინი მზად არიან კვლავაც გაუწიონ მხარდაჭერა ამ მიზნის მისაღწევად.

შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა-კავშირ-პოლონეთის ყოველმხრივი ურთიერთობა და განსაზღვრეს მისი შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები. განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ საჭიროა ენერგიულად იმუშაონ ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის 2.000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის, რაც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ახალ მიჯნებზე მთელი სოციალისტური თანამეგობრობის გასვლას.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვამ დაადასტურა, რომ მხარეებს ერთნაირი შეხედულება აქვთ და ერთნაირად აფასებენ მსოფლიოში შექმნილ ვითარებასა და მისი ძირეული გაჯანსაღების გზებს. ითქვა, რომ მათ გადწყვეტილი აქვთ კვლავაც გააღრმავონ ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედება მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების ინტერესებისათვის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბრძოლველად.

შეხვედრამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს მიეძღვნა სპორტული დღესასწაული, რომელიც 2 მარტს გაიმართა მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიურში“.

დღესასწაულს დაესწრნენ ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, დ. ა. კუნაევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ლ. ნ. ზაიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. პ. ნიკონოვი. მათთან ერთად ლოჟაში იყვნენ სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები ამხანაგები ტ. ჟივკოვი, ი. კადარი, კ. ფომვიხანი, ჟ. ბატმუნხი, ვ. იარუზელსკი.

შეკრებილნი მათ ტაშით მიესალმენენ. ბავშვებმა — მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებსა და სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ვლადიმერ სალნიკოვი ყრილობის დელეგატებს მიესალმა ქვეყნის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სახელით. მან განაცხადა, რომ ისინი ფიცს დებენ კომუნისტური პარტიისა და სამშობლოს წინაშე მაღლა აბარონ საბჭოთა სპორტის დროშა, ამრავლონ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციები.

გამოსელა გახსნეს ნორჩმა მოსკოველმა ტანმოვარჯიშეებმა. თავიანთი ჩელოვნება აჩვენეს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულმა დელეგაციებმა. დიდი წარმატებით გამოვიდნენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები, ცაცხენოსნო სპორტის ოსტატები, ფიგურისტები; უშიშრობის, სიჩაუქის, სიმარდის ნიმუშები ცხადყვეს მეომარმა სპორტსმენებმა.

საღღესასწაულო წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები.

დარბაზში იყვნენ სკკპ XXVII ყრილობის სტუმრები — კომუნისტური და მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ლეგიონერისტული და სხვა პარტიების დელეგაციათა მეთაურები და წევრები, დემოკრატიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

(საკდესი).

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲖᲠᲐᲕᲐᲜᲔᲑᲐ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

როგორც უძვირფასეს მეგობრებს, ისე მხურვალედ და გულითადად შეხვდა საქართველოს დედაქალაქი 3 მარტს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გრიშა ფილიპოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე დიმიტრ სტანიშევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პლოვდივის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ივან პანევი. დელეგაციას ახლავს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი დესპანი მარინ იოტოვი.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, სსრ კავშირის საგარეო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ი. გრიგოკვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე გ. ვ. პანოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები გ. ნ. ეხუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ზ. გ. ახვლედიანი, რ. ა. გოგლიძე, ნ. ვ. გურგენიძე, ა. შ. იოსელიანი, ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები ა. ი. ზედგინიძე, მ. ნ. მღებრიშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. რ. სანებლიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. შ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამართველოს უფროსი ზ. პ. მახარაძე.

ჩამოსულთ გულთბილად მიესალმნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პიონერებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს. (საკინფორმი).



სურათზე: შეხვედრის დროს.

ა. რუხაძის ფოტო. (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება 1986 წლის 3 მარტს

ამხანაგო დელეგატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

თითქმის შვიდი ათწლეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ქვეყანას დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. პარტიისა და ხალხის გმირულ ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს სკკპ XXVII ყრილობა. იგი მოწოდებულია განსაზღვროს ჩვენი საშობლოს წინსვლის სტრატეგია კომუნისტური მშენებლობის ერთობ პასუხსაგებ ეტაპზე, დასაბამი მისცეს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ძირეულ გარდაქმნებს.

XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა, ასახულია პარტიისა და ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის გრანდიოზული სურათი. მოხსენებაში შემოქმედებითად, მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი პრინციპების პოზიციებიდან ღრმად არის დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია, ხელახლა არის გააზრებული პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა მთელი კომპლექსი. მოხსენებაში ნოვატორულად არის განსაზღვრული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის სტრატეგია და ტაქტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ღრმა კლასობრივი ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ძალთა თანაფარდობა თანამედროვე მსოფლიოში, მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები და წინააღმდეგობანი, ნაჩვენებია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მზარდი პოტენციალი. დიდი შემტევი ძალით არის ჩამოყალიბებული ჩვენი პოზიცია საკითხში, რომელიც მთელ კაცობრიობას. აფიქრებს, — ომისა და მშვიდობის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების საკითხში.

იდეური შინაარსის, თეორიული აზრის სიღრმე, უკომპრომისობა დაგროვილი ნაკლოვანებებისა და სიძნელეების მიზეზთა შეფასებაში, რეალიზმი და გამბედაობა ახალი ამოცანების დაყენებაში — ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს განვიხილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი. **(ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის ზემოქმედებით დამკვიდრებულმა მორალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა, პარტიის კურსის სისწორის მგზნებარე რწმენამ, რომლითაც არის გამსჭვალული პოლიტიკური მოხსენება, განსაზღვრეს ყრილობის მუშაობის მთელი ატმოსფერო. იგი მიმდინარეობს საქმიანად, კონსტრუქციულად, მომთხოვნელობის, საბჭოთა ხალხის წინაშე პარტიის დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის განხილვამ დამაჯერებლად ცხადყო პარტიის რიგების მონოლითური შეკავშირება, საბჭოთა კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებათა ერთიანობა, მოქმედების ერთიანობა. **(ტაში).**

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ყრილობის განსახილველად შემოტანილ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო დოკუმენტს წარმოადგენს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი. მისი ღერძია დაჩქარების კონფიგურაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა წამოაყენა, პროექტში დაკონკრეტებულია საპროგრამო ამოცანები და მიზნები, რომლებიც ამ საუკუნის ბოლომდე უნდა განხორციელდეს, განსაზღვრულია საწარმოო ძალების თვისებრივი გარდაქმნისა და საზოგადოების სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი.

ძირითად მიმართულებათა პროექტი მთლიანად შეესაბამება საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებს, მათს მომავლის იმედებს. ეს მთელი ძალით ცხადყო მისი განხილვის ჰეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მასშტაბმა, რომელშიც დაახლოებით 110 მილიონი მოქალაქე მონაწილეობდა. განხილვის მთელი მიმდინარეობა, მისი ხასიათი კვლავ და კვლავ მოწმობს, რომ გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური სიმწიფე, რომ ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა ღრმად არის დაინტერესებული სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებით.

ძირითად მიმართულებათა პროექტს დიდი ინტერესით შეხვდნენ საზღვარგარეთ. ბუნებრივია, რომ მისადმი დამოკიდებულება ვერ იქნება ერთგვაროვანი. ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი და ავისმდომნი ცდილობენ გააუკუღმართონ დასახული გეგმების აზრი და მიზნები. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ არ შეუძლიათ არ ცნონ ჩვენი გეგმების მასშტაბურობა და სითამამე. ჩვენი მეგობრები, და უწინარესად, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები ამ დოკუმენტს მიიჩნევენ დამაჯერებელ გამოვლინებად, რომელიც ცხადყოფს საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობებს, მის უნარს — გადაჭრას თანამედროვეობის ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამას უკავშირებენ ისინი ჩვენი თანამეგობრობის, სოციალიზმის, მთელი პროგრესული ძალების პოზიციების განმტკიცებას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

I. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში — შედეგები და დასკვნები

ამხანაგებო!

კომუნისტური პარტია, რომელიც ნიადაგ მისდევს ლენინურ ტრადიციებს, პერსპექტივის ფართო ხედვა ყოველთვის უხამებდა და უხამებს ეკონომიკის მდგომარეობისა და ზრდის შესაძლებლობათა რეალისტურ შეფასებას, გამოვლილი გზის ობიექტურ ანალიზს.

ძირითად მიმართულებათა პროექტში შეჯამებულია განვლილი ხუთწლედის შედეგები. ისინი გვაძლევენ ყველა საფუძველს დავასკვნათ, რომ საბჭოთა ადამიანების გარჯით მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას. ამ საფუძველზე უმჯობესდებოდა სახალხო კეთილდღეობა, ჯეროვან დონეზე რჩებოდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება მიმდინარეობდა არცთუ იოლ, ხოლო მის საწყის ეტაპზე, შეიძლება თქვას, ფრიად რთულ ვითარებაშიც. არაკეთილსასურველი ტენდენციები, რომლებმაც ეკონომიკის განვითარებაში იჩინა თავი 70-იან წლებში, არათუ არ დამცხრალა, არამედ გაძლიერდა კიდეც 80-იანი წლების დამდეგს. ყოველივე ამან დიდი დაასვა მეთერთმეტე ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობას. პირველი ორი წლის განმავლობაში ქვანვინდებულად კლებულობდა ზრდის ტემპი, უარესდებოდა მეურნეობრიობის თვისებრივი მაჩვენებლები. 1982 წელს სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპი ერთ-ნახევარჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საშუალოდ მეათე ხუთწლედის წლებში. სიძნელეთა ზრდას არ შეიძლებოდა დიდი არ დაესვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაზე სოციალურ სფეროშიც. მაგალითად, ხუთწლედის მეორე წელს ფაქტობრივად შეჩერდა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა.

აქ თავი იჩინა მთელმა რიგმა ფაქტორებმა. ნაკლოვანებათა ძირეული მიზეზი კი ის არის, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში დროულად არ გავითვალისწინეთ შეცვლილი ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც უმთავრესად ექსტენსიური ზრდის შესაძლებლობათა ამოწურვასთან იყო დაკავშირებული. არ ვიჩენდით ჯეროვან სიმტკიცეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენებაში, სახალხო მეურნეობისა და მართვის გარდაქმნაში დროის მოთხოვნების შესაბამისად. თანაც, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ბევრი ხელმძღვანელი განაგრძობდა ყაყლასული მეთოდებით მოქმედებას და მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალ პირობებში მუშაობისათვის. შეუწყნარებლად შესუსტდა დისციპლინა და წესრიგი. დაქვეითდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა. მასობრივი გახდა გეგმების შესწორება-შემცირების მანკიერი პრაქტიკა. ამ წლებში მოხდა განდგომა სოციალისტური ეკონომიკის უცილობელი პრინციპისაგან, რომლისთვისაც გეგმის შესრულება სამეურნეო ცხოვრების კანონი და ნორმაა. ამ მოვლენებს არ აძლევდნენ პრინციპულ პოლიტიკურ შეფასებას, არ გამოჰქონდათ ჯეროვანი პრაქტიკული დასკვნები.

პარტიამ კრიტიკულად გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და მიიღო ზომები სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზებულობისა და შრომის დისციპლინის გასაუმჯობესებლად. ამ ღონისძიებებმა საყოველთაოსახალხო მხარდაჭერა პოვა და გარკვეული იმპულსი მიანიჭა ჩვენს წინსვლას. ამის შედეგად, 1983 წლიდან მოყოლებული, მოხდა გარკვეული პოზიციური ძვრები, რამაც რამდენადმე გაუმჯობესა მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

	საერთო მოცულობა 1981-1985 წლებში, მილიარდი მანეთი	აესოლუტური მატება 1981-1985 წლებში 1976-1980 წლებთან შედარებით, მილიარდ. მანეთი	საერთო მოცულობის ზრ და 1981-1985 წლებში 1976-1980 წლებთან შედარებით პროცენტებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	2398	353	117
მრეწველობის პროდუქცია	3778	628	120
სოფლის მეურნეობის პროდუქცია (1983 წლის ფასებით)	1010	53	106
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (ტრილიონი ტონაკილომეტრი)	37,1	5,7	118
ძირითადი ფონდების ამოქმედება	815	147	122
კაპიტალური დაბანდებანი	842	125	117
საცალო საქონელბრუნვა	1466	226	118

ეროვნული შემოსავალი ხუთწლედის წლების მანძილზე გაიზარდა 17 პროცენტით, მრეწველობის პროდუქცია 20 პროცენტით. ინდუსტრიის დარგთაგან სწრაფად ვითარდებოდა გაზის მრეწველობა. ჩვენმა ქვეყანამ გაზის მოპოვების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ერთიორად და მეტად გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება ატომურ ელექტროსადგურებში. უპირატესი ტემპით მატულობდა ცალკეულ სახეობათა მანქანათმშენებლო პროდუქციის გამოშვება, ერთგვარი ძვრები მოხდა მშენებლობაშიც. განხორციელდა სასურსათო პროგრამის რეალიზაციის დიდი ღონისძიებანი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა. ხუთწლედის მეორე ნახევარში დაისახა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი სიძნელეების მიუხედავად, პარტია ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა განხორციელებინა XXVI ყრილობის მიერ დასახული კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმები. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, გადიდდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.

	XXVI ყრილობაზე დამტკიცებული ძირითადი მიმართულებების მიხედვით	ფაქტობრივი შესრულება
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, 1985 წელი პროცენტობით 1980 წელთან შედარებით	113-116	113
კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, 1985 წელი პროცენტობით 1980 წელთან შედარებით	120-122	129
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, 1985 წელი პროცენტობით 1980 წელთან შედარებით	120	125
საცხოვრებელი სახლების ამოქმედება 1981-1985 წლებში, მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი	530-540	552
სკოლამდელი დაწესებულებების ამოქმედება 1981-1985 წლებში, მილიონი ადგილი	2,5	2,9
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოქმედება 1981-1985 წლებში, მილიონი სამოსწავლო ადგილი	4,3	5,2
საავადმყოფო საწოლების რიცხვი, 1985 წელი პროცენტობით 1980 წელთან შედარებით	108-110	108,7
სპეციალისტთა გამოშვება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან 1981-1985 წლებში, მილიონი კაცი	10	10,5

უმჯობესდებოდა საპენსიო უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, საგრძნობლად გაუდიდდათ სახელმწიფო დახმარება ბავშვიან ოჯახებს. მნიშვნელოვანი რესურსები მოხმარდა განათლების სფეროს, სკოლის რეფორმის განხორციელებას. ისევე როგორც წინა ხუთწლედებში, დიდი გაქანებით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 10 მილიონზე მეტი ბინა. პარტიის დებულებათა შესაბამისად გრძელდებოდა სოფლის სოციალური გარდაქმნის, სოფლისა და ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების დონის დაახლოების პროცესი.

ამრიგად, ხუთწლედის წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ამავე დროს მოვალენი ვართ ობიექტურად შევაფასოთ მისი შედეგები, პარტიული პრინციპულობით ვამხილოთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს გვიშლიან წინსვლაში, რათა საჭირო სამერმისო დასკვნები გამოვიტანოთ.

დაუფარავად უნდა ვთქვათ, რომ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა დონეზე მთლიანად ვერ გავედით. ბევრმა დარგმა ვერ დაძლია დასახული მიჯნები. მთლიანად ხუთწლეულში დაგვაკლდა 35 მილიონი ტონა მზა ნაგლინი, 145 მილიონი ტონა ქვანახშირი, 50 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი, 16 მილიარდი მანეთის მოხმარების საგნები. მანქანა-მოწყობილობის სტრუქტურა, ტექნიკური დონე და ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. სისტემატურად ჩამორჩებოდა ქიმიური, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. წლითიწლობით ვერ ასრულებდნენ გეგმებს ძირითადი საერთო-სამშენებლო სამინისტროები. ვერ მივიღეთ ჯეროვანი უკუგება იმ დიდი რესურსებისაგან, რომლებიც სოფლის მეურნეობას მოხმარდა. ქრონიკულად ვერ სრულდებოდა ეფექტიანობის დავალებანი, დონედ მიმდინარეობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა დაღი არ დაესვა ეკონომიკის განვითარების საერთო შედეგებზე, მის პროპორციებზე, რამაც მილიარდობით მანეთი ეროვნული შემოსავალი დაგვაკარგვინა. ამის შედეგად ვერ შესრულდა კეთილდღეობის გაუმჯობესების ისეთი დავალებანი, როგორიც არის რეალური შემოსავალი, საცალო საქონელბრუნვა. გართულდა ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის მდგომარეობა.

ამრიგად, ამხანაგებო, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაგროვილ ნაკლოვანებათა ტვირთი ისე დიდი იყო, რომ მისი ლიკვიდაცია მოკლე ვადაში შეუძლებელი აღმოჩნდა. ცალკეული ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდებოდა, ვერ გარდატეხდა ეკონომიკის ნეგატიურ ტენდენციებს, ვერ გაიყვანდა მას სტაბილური და დინამიკური ზრდის გზაზე. საჭირო იყო ძირეული ცვლილებები, ღრმა გარდაქმნა და პარტიაც შეუპოვრად ეძებდა ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების კარდინალური გადაწყვეტის გზებს. სწორედ ასეთი გარდაქმნა დაუსახა მიზნად კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, რომელიც გარდამტეხი გახდა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. სწორედ ასეთი გარდაქმნა შეესაბამება მომწიფებულ მოთხოვნილებებს, პარტიის გეზს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. **(ტაში).**

ჩვენს სახალხო მეურნეობას საამისოდ ყველა წანამძღვარი აქვს — მძლავრი საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, კვალიფიციური კადრები, ბუნებრივი რესურსები. ახლა მთავარია გამოვიყენოთ გეგმიანი სოციალისტური სისტემის უპირატესობანი და მზარდი შესაძლებლობანი, განუხრელად განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგია.

II. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება 2000 წლამდე პერიოდის სტრატეგიული ამოცანაა

ამხანაგებო!

ძირითად მიმართულებათა პროექტის კონკრეტული დავალებები და ციფრები განსასიერებენ პარტიის საპროგრამო დებულებას, რომლის მიზანია დაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 2000 წლამდე, მივაღწიოთ საბჭოთა საზოგადოების ახლებურ მდგომარეობას, ღრმად გარდავქმნათ მისი საწარმოო ძალები, სრულყოთ წარმოებითი ურთიერთობა.

თხუთმეტი წლის ჰორიზონტის არჩევანი განაპირობა, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის წინაშე მდგომი იმ ამოცანების მასშტაბურობამ და სირთულემ, რომელთა გადაწყვეტა სცილდება ერთი ან ორი ხუთწლედის ფარგლებს. ამავე დროს, ეს არის ოპტიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მიღწევები მისი განვითარების პროგნოზების გათვალისწინებით შეიძლება სრულად გამოვიყენოთ.

ძირითად მიმართულებათა პროექტი იყრდნობა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტათა მეცნიერულად დასაბუთებულ პროექტებს, მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებს, რომლებიც ძირითადად მოიცავენ 2000 წლამდე პერიოდს: სასურსათოს და ენერგეტიკულს, მანქანათმშენებლობის აღმავლობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების და მომსახურების სფეროს განვითარებისას. ამრიგად, თხუთმეტი წლის პერსპექტივა რეალურად თვალსაწიერია და საგულდაგულოდ შემოწმებულ ფუნდამენტს ეფუძნება.

მიჯნები, რომლებსაც ეკონომიკამ უნდა მიაღწიოს XX საუკუნის დამლევს, ზუსტად სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის დებულებათა შესაბამისად არის განსაზღვრული. დასახულია გაორკეცდეს ეროვნული შემოსავალი და მიღწეულ იქნეს საწარმოო ძალების მოცულობა. მოხდება ქვეყნის საწარმოო აპარატის ხარისხითი გადიდება და ძირეული გარდაქმნა. ამის შედეგად თხუთმეტი წლის მანძილზე შეიქმნება ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც დაახლოებით საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების განმავლობაში დაგროვილი პოტენციალის ტოლია, გადაიდგმება დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების გზაზე.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტია გვისახავს ამოცანას თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ კეთილდღეობა.

პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ პრობლემათა გადაჭრას შრომის სფეროში — ადამიანის საქმიანობის მთავარ სფეროში. უწინარეს ყოვლისა, არსებითად შევამცირებთ მძიმე, მონოტონურ სამუშაოებს. ორჯერ და მეტად დაიკლებს ხელშრომის წილი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უპრეცედენტო ნაკლებკვალიფიციური სამუშაოსაგან გავთავისუფლოთ 20 მილიონზე მეტი კაცი, გავხადოთ მათი საქმიანობა შინაარსიანი, შვების მომტანი.

თხუთმეტი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია რადიკალურად გადაიჭრას მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი განვითარების საჭიბოროტო პრობლემები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ყველა ფენისათვის. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე მზარდი მყიდველუნარიანი მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას, კვების იმ რაციონალური ნორმების მიღწევას, რომლებსაც მეცნიერება გვირჩევს. 2000 წლისათვის უნდა შევასრულოთ დიდი სოციალური მნიშვნელობის ამოცანა — უზრუნველვყოთ პრაქტიკულად ყოველი საბჭოთა ოჯახი ცალკე საცხოვრებლით — ბინით ან ინდივიდუალური სახლით. მისი განხორციელება მოითხოვს ძალებისა და საშუალებების უაღრეს მობილიზაციას, მუდმივ ყურადღებას ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხისადმი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ განათლებისა და კადრების მომზადების სისტემა, სამედიცინო მომსახურება, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ და განვამტკიცოთ კულტურის, დასვენებისა და სპორტის, მთელი სოციალური სფეროს მატერიალური ბაზა.

ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი წარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის ასეთი მიჯნების დასახულ ვადაში მიღწევას შევძლებთ მხოლოდ ჩვენი. წინსვლის ეფექტიანობისა და ტემპის არსებითი გადიდების გზით.

ტემპის საკითხი ყოველთვის იყო და არის პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის შესაბამისად მას პრინციპული მნიშვნელობა და ახლებური შინაარსი ენიჭება.

ჯერ ერთი, გათვალისწინებულია ეროვნული შემოსავლის მზარდი დინამიკა. მისი მატების ტემპი განვლილი ხუთწლედის საშუალო წლიური 3,1 პროცენტიდან მეთოთხმეტე ხუთწლედში 5 პროცენტამდე გაიზრდება. ამის შედეგად დავძლევთ უკანასკნელი სამი ხუთწლედის განმავლობაში ტემპის შენელების ნეგატიურ ტენდენციას. კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება. ამის შედეგად წარმოებული ეროვნული შემოსავლის კრებსითი სიდიდე აღნიშნულ პერიოდში შეადგენს დაახლოებით 12 ტრილიონ მანეთს, რაც მეტია, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების განმავლობაში. ტემპისა და ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატების ასეთი ზრდა აუცილებელია, რათა ერთდროულად გადავწყვიტოთ ფართო მასშტაბის ეკონომიკური და სოციალური ამოცანები. ეს საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ ჯეროვან დონეზე ვიქონიოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

მეორე, დაჩქარების პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს წარმოების უფრო ჰარმონიული სტრუქტურა, რომელიც სრულად დაკმაყოფილებდა მზარდ და ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. ეს ნიშნავს, რომ ზრდის ყოველი პროცენტის, ყოველი მანეთის მიღმა უნდა იდგეს სრულფასოვანი სამომხმარებლო თვისებების მქონე თვისებრივად ახალი, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო ეფექტანი პროდუქცია. ეს არის ეკონომიკური ზრდის თანამედროვე სტრატეგიის უცილობელი მოთხოვნა.

მესამე, და, ალბათ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ტემპს უნდა ვაძლიერებდეთ პრინციპულად ახალ საფუძველზე — ყოველმხრივი და თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის საფუძველზე. ამ ამოცანას რომ აყენებს, პარტია აღნიშნავს მისი გადაწყვეტის მთავარ საშუალებასაც — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უფრო მაღალი მიჯნების მიღწევას. „ეს არის ჩვენი მოძრაობის ის ამჩქარებელი, რომლის მოქმედებაც ხუთწლედიდან ხუთწლედამდე სულ უფრო გაძლიერდება.

ინტენსიფიკაციის საკითხს პარტია კომპლექსურად და მასშტაბურად უდგება. ჩვენმა ეკონომიკამ ისეთი მიჯნას მიაღწია, როდესაც შეუძლია ვითარდებოდეს და ვითარდებოდეს სწრაფად, — არა რესურსების სულ უფრო მეტი ზრდის ხარჯზე, როგორც ეს წინათ იყო, არამედ წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის — მთელ ფრონტზე ინტენსიფიკაციის გზით. დასახული გვაქვს არა მარტო გაჯანდოთ შრომის ნაყოფიერება, არამედ აგრეთვე შევამციროთ მასალატევადობა და ფონდტევადობა, გადავიყვანოთ ინტენსიფიკაციის რელსებზე არა ცალკეული დარგები, არამედ მთლიანად სახალხო მეურნეობა. ეს არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების ერთადერთი სწორი გზა.

სოციალიზმის ძირეული პრობლემების გადაჭრის მაგისტრალურ მიმართულებას, საბოლოო ანგარიშით, წარმოადგენს სახალხო-მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა საფუძველზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაყურადნობა ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მტკიცე საძირკველს, საქმე ეხება ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფ განახლებას და თვისებრივ სრულყოფას. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი მუდამ მაღალ დონეზე იყოს და მსოფლიო მიღწევებს შეესაბამებოდეს. ამ პროცესმა ყველა დარგი უნდა მოიცვას. ყოველ საამინისტროს, თითოეულ საწარმოს უნდა ჰქონდეს საწარმოო ფონდების გეგმაზომიერი განახლების კონკრეტული პროგრამა და მტკიცედ ახორციელებდეს მას. ეს საჭიროა არა მარტო ეკონომიკური, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

ასეთი გზნებით ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნები და მთავარი ამოცანები, რომლებსაც პარტია აყენებს ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ისინი გრანდიოზნია. მათი რეალიზაცია არსებითად დაყრნობრუნებს ქვეყანას საზოგადოებრივი პროგრესის გზით, დიდად განუმტკიცებს ეკონომიკურ პოზიციებს მსოფლიოში, კიდევ უფრო მეტად გაზრდის სოციალიზმის მიმზიდველ ძალას. დასახული განზორციელებას მოვახმართ მთელ ჩვენს ძალისხმევასა და რეზერვებს, ავამოქმედებთ სოციალისტური წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის გადაიდგმის ყველა ფაქტორს.

და აქ მთავარია ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი გააქტიურება. სწორედ შრომის მეოხებით ვასრულებთ გეგმებს, ხორცს ვასხამთ მათ კონკრეტულ საქმეებად. ამტომ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად გვესახება, რომ ყოველმა მშრომელმა გულით აღიქვას პარტიის საპროგრამო ამოცანები, მიიჩნიოს ისინი თავის ღვიძლ საქმედ, რომელიც მის ინტერესებს, მთელი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება. ეს არის ჩვენი სამშობლოს აყვავების, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატების საწინდარი. **(ტაში).**

დასახული გარდაქმნების სიღრმე და მასშტაბურობა მოითხოვს ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სახალხო მეურნეობის სახელმძღვანელო მუშაობა. ყველა დარგსა და რესპუბლიკას უახლოესი თხუთმეტწლეულის ზუსტი ორიენტირები უნდა ჰქონდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მკაფიოდ განვსაზღვრთ ჩვენი ზრდის საფეხურები, უზრუნველვყოფ მიზნების მიმკვიდრეობითობა და მეურნეობრიობის ტაქტიკა მიმდინარე ასწლეულის დამლევამდე, დავადგინოთ ყოველი ხუთწლედის ადგილი და როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში.

III. მეთორმეტე ხუთწლედი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია

პარტიის გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი და ფრიად პასუხსაგები ეტაპია მეთორმეტე ხუთწლედი. ამ წლებში უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი ეკონომიკის არსებითი ზრდა და გავიყვანოთ იგი განვითარების უფრო მაღალ ტრაექტორიაზე — დაჩქარების ტრაექტორიაზე.

ამ პოზიციებიდან არის განსაზღვრული **ხუთწლედის მთავარი ამოცანა.** მისი მიზანია გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და რეკონსტრუქციის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ინტენსიური გამოყენების, მართვის სისტემის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ბაზაზე და მივაღწიოთ ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

ნება მიბრძანეთ, მოგახსენოთ, ამხანაგო დელეგატებო, რომ ძირითად მიმართულებათა პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი წარმოების და მისი ეფექტიანობის ზრდის მაჩვენებლები მთლიანად უზრუნველყოფენ მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანის რეალიზაციას.

სახალხო მეურნეობის დინამიკურობას ნათლად და დამაჯერებლად გამოხატავს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების აბსოლუტური მატების ზრდა. ეროვნული შემოსავლის მატება 1986-1990 წლებში გაიზრდება 1,6-ჯერ. აღვნიშნოთ, რომ განვლილ ხუთწლეულში ეს მაჩვენებელი შემცირდა.

	აბსოლუტური მატება, მილიარდი მანეთი		საშუალო წლიური მატება, პროცენტობთ	
	1985 წელთან 1980 წელთან შედარებით	1990 წელთან 1985 წელთან შედარებით ძირითად მიმართულებებთან პროექტის მიხედვით	მეთორმეტე ხუთწლედი	მეთორმეტე ხუთწლედი ძირითად მიმართულებათა პროექტის მიხედვით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	71	96-111	3,1	3,5-4,0
მრეწველობის პროდუქცია	135	169-194	3,7	3,9-4,4
აქედან: წარმოების საშუალებათა წარმოება („ა“ ჯგუფი)	99	123-142	3,6	3,7-4,2
მოხმარების საგნების წარმოება („ბ“ ჯგუფი)	36	46-52	3,9	4,1-4,6
ს

ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენების გაგრძელება

ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის წილის გადიდება. ასეთი მანევრი აუცილებელია როგორც მიმდინარე, ისე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. შემდგომში დასახულია დაგროვების წილი სტაბილიზებულ იქნეს და რამდენადმე შემცირდეს კიდეც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მანევრი განხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პირობებში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მოხმარების ფონდის აბსოლუტური ოდენობა, ფონდისა, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალურ დონეს. დავასახელებ შემდეგ მონაცემებს: მოხმარების ფონდის მატება მეთორმეტე ხუთწლედში შეადგენს 74 მილიარდ მანეთს წინა ხუთწლედის 55 მილიარდთან შედარებით. დაჩქარდება მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა. განვითარების ასეთი ხასიათი მთლიანად შეესაბამება ჩვენი გეგმების სოციალური მიზანმიმართულების გაძლიერების გრძელვადიან კურსს, რომელიც პარტიამ შეიმუშავა.

მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია გაბედული ნაბიჯი გადაიდგას აქტუალური ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანის — განვითარების ინტენსიურ გზაზე სახალხო მეურნეობის გადაყვანის ამოცანის განხორციელებაში. საბოლოო შედეგების ზრდა გათვალისწინებულია უმნიშვნელოვანესი რესურსების მატების არსებითი შემცირებისა და მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის იმავდროული გაუმჯობესების პირობებში.

	მატება ხუთწლეულში (პროცენტობით)		
	1981-1985 წლები	1986-1990 წლები ძირითად მიმართულებათა პროექტის მიხედვით	მატების ტემპის ზრდა (+), შემცირება (—)
1. წარმოების შედეგები			
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	17	19-22	+2-5
მრეწველობის პროდუქცია	20	21-24	+1-4
სოფლის მეურნეობის პროდუქცია (საშუალო წლიური მოცულობა)	6	14-16	+8-10
2. უმნიშვნელოვანესი რესურსები			
მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა რიცხვი	2,3	0,5	—1,8
ძირითადი საწარმოო ფონდები	37	30	—7
შრომის საგნების წარმოება	17	15	—2

ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია გავზარდოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 20-23 პროცენტით წინა ხუთწლედის 16,5 პროცენტთან შედარებით. პრაქტიკულად პირველად ხდება, რომ ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სხვა საწარმოო დარგების პროდუქციის მთელი მატება დასახულია მიღებულ იქნეს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი პრინციპული თავისებურებაა. შრომითი რესურსების მატება ამ წლებში შემცირდება და შეადგენს სულ 3,2 მილიონ კაცს. შრომის ნაყოფიერების ზრდა რომ არ დაგვიგეგმა, სახალხო მეურნეობას დამატებით დასჭირდებოდა 22 მილიონზე მეტი მუშაკი. ასეთი შრომითი რესურსები ჩვენ უბრალოდ არ გაგვაჩნია. მეთორმეტე ხუთწლედში შესაძლოდ არ გვესახება არა მარტო ვიკმაროთ არსებული მატება, არამედ აგრეთვე თითქმის მთლიანად მოვახმაროთ იგი განათლებას, ჯანდაცვას, სხვა სოციალურ-კულტურულ დარგებს, მაშინ როდესაც განვლილ ხუთწლეულში შრომითი რესურსების მატება დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდა საწარმოო და არასაწარმოო სფეროებს შორის.

პარტიის მიერ შემუშავებული გეზის შესაბამისად არსებითად ჩქარდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა, როგორც არის ეკონომიის გადაყვანა „სიმობიზე, ნელდეულსა და სხვა მასალებზე დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროდ. ამ ჯაზი ულანლიეი ხუთი წლის მანძილზე დასახულია უზრუნველყოთ უმნიშვნელოვანესი რესურსებზე მოთხოვნილების მატების 60-65 პროცენტი. ამის შედეგად მატერიალური დანახარჯების ეკონომია მთლიანად სახალხო მეურნეობაში 1990 წელს გაორკეცდება. ქვეყანას არ ახლოვს რესურსდაზოგვის ასეთი მასშტაბი. იგი ჩვენი განვითარების თანამედროვე ეტაპის ობიექტურ მოთხოვნებს გამოხატავს.

მრავალგვარია რესურსდაზოგვის პრობლემის გადაჭრის გზები. უწინარესად ეს არის უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების, ქმედითი ეკონომიკური მექანიზმის ფართო გამოყენება და რა თქმა უნდა, ყოველ კოლეტივში ისეთი მატერიალური პირობების და მორალურ-ზნეობრივი კლიმატის შექმნა, რომ შრომელები, ყველა საბჭოთა ადამიანი ამ დიდი საქმის გულშემატკივარი და აქტიური მონაწილეები გახდეს. მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა მეორეული რესურსების მაქსიმალური გამოყენება, მათი წილი საწარმოო მოხმარებაში ჯერ კიდევ ვერ არის დიდი, თუმცა ცალკეულ რესურსებში, მაგალითად, უკრაინაში, გვარიანი დადებითი გამოცდილებაა შეძენილი. ცნობილია ამ დარგის დიდი მიღწევებიც მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. პერსპექტივაში დასახულია მეორეული ნედლეულის ხვედრითი წილი არსებითად გადიდდეს და საშუალოდ მიიღწიოს სულ ცოტა 10-12 პროცენტს. სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა ძირფესვიანად უნდა შეცვალონ ამ საქმისადმი დამოკიდებულება. ზშირად ისინი, ხატოვნად რომ ვთქვათ, უდიდეს სიმდიდრეზე მოკალთებულან და ამავე დროს წუწუნებენ ნედლეულის უკმარისობის გამო. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის კოლოსალური ზარალი, ამ დროს რომ ადგება ბარემო ბუნებას. პრინციპული, სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან უნდა უდგებოდნენ მეორეული რესურსების გამოყენებას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება.

ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შორის, ალბათ, მაინც ყველაზე მწვავე და გადაუდებელი პრობლემაა პროდუქციისა და სამუშაოთა ხარისხი. ეს არის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხიც. მოკლე ისტორიულ ვადაში ბევრი სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის მიხედვით ჩვენ მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს მივაღწიეთ. ახლა შეგვიძლია და მოვალენი ვართ ასევე ენერგიულად გადავჭრათ ხარისხის პრობლემა. სახალხო მეურნეობა მიადგა ისეთ მიჯნას, როდესაც ხარისხის საქმის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების განუხორციელებლად ვერ გადავწყვეტთ ვერც ერთ დიდმნიშვნელოვან საწარმოო და სოციალურ ამოცანას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება — ეს, საბოლოო ანგარიშით, მისი რაოდენობის, რესურსების დაზოგვის, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების საკითხიც არის. აი, მხოლოდ ერთი მაგალითი. კარგად არის ცნობილი, რაოდენ მწავალედ დგას ჩვენს ქვეყანაში სალტეების საკითხი. იცის ეს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის სამინისტრომაც. ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე ეკონომიკური გზაა სალტეების გამძლეობის გადიდება. ამ მაჩვენებლის 10 პროცენტით გაზრდა წელიწადში 6 მილიონი სალტის გამოშვების ტოლფასი იქნებოდა. ეს პრაქტიკულად იმდენია, რამდენიც გვაკლია იმისთვის, რომ დაკმაყოფილთ როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მოსახლეობის მოთხოვნილება. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ძირითად მიმართულებათა პროექტით დასახულია ხუთწლეულის მანძილზე დაახლოებით გაორკეცდეს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი. ამასთან არსებითად უნდა გაძლიერდეს ატესტაციის როლი და ობიექტურობა. დღევანდელი დღის აქტუალური ამოცანაა იმ სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი გამოყენება, რომელიც მატერიალურად და მორალურად გარდაუვლად სჯის დაბალი ხარისხის ნაწარმის გამოშვებ საწარმოებს. და, პირიქით, შრომითი კოლექტივები, რომლებიც თანამედროვე მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ, ასეთები კი ჩვენში მრავლად არიან, უნდა წავახალისოთ, და წავახალისოთ გულუხვად. ამ მიმართულებით უკვე მიღებულია დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი: შემოღებულია საგრძნობი დანამატები და მკაცრი სანქციები. საწარმოებმა და გაერთიანებებმა სწრაფად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რათა მომზადებულნი შეხვდნენ ხარისხის ახალ მოთხოვნებს.

ხარისხის გაუმჯობესება საერთო-სახალხო ამოცანაა და მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მართვის ყველა რგოლის, ყველა საწარმოს, მშრომელების ძალისხმევით. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, მასების ინიციატივასა და შემოქმედებაზე დაყრდნობით. აქ უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება: ეკონომიკური, ადმინისტრაციული, აღმზრდელობითი. და ამ საქმეში დაუშვებელია სანახევრო ღონისძიებანი. საჭიროა ძალების უარრესი მობილიზაცია, შეუპოვრობა და თანამიმდევრულობა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ასეა დასმული ხარისხის საკითხი წერილში, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ყველა მშრომელს. და ასე უნდა წყდებოდეს იგი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ძირითად მიმართულებათა პროექტით განსაზღვრულია წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფრიად პასუხსაგები და დაძაბული დავალებანი. ამ წლებისათვის გათვალისწინებულია საბჭოთა შეიარაღებული ძალების სრული უზრუნველყოფა ყოველივე იმით, რაც საჭიროა ჩვენი სამშობლოს დასაცავად. მეთორმეტე ხუთწლედი, რომელიც დასაბამს აძლევს პარტიის გრძელვადიანი სტრატეგიის რეალიზაციას, გარდამტები უნდა გახდეს ყველა თვალსაზრისით: როგორც ზრდის ტემპის თვალსაზრისით, ისე ეფექტიანობის თვალსაზრისით. იგი გარდამტები უნდა გახდეს ხუთწლიანი გეგმის შესრულების ორგანიზაციის მხრივაც.

დასკვნებია გამოსატანი წარსულის გაკვეთილიდან, როდესაც ხუთწლედის შესრულების სიმძიმის ცენტრი თანდათან გადადიოდა მის უკანასკნელ წლებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად უკვე 1986 წლის — ხუთწლედის პირველი წლისათვის არის გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთი ტემპი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უფრო თანაბარზომიერად გავანაწილოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი და ამით შევქმნათ მისი შესრულების რეალური პირობები. ყოველივე ეს მოითხოვს დაძაბულ მუშაობას ხუთწლედის დაწყებისთანავე და სათანადო რიტმს ანიჭებს მომდევნო წლებს.

როდესაც უახლოეს ორგანიზაციულ და სოციალურ რეზერვებს ვეყრით თავს, არ უნდა დავკარგოთ დრო და ავამოქმედოთ დაჩქარების საკანონო, ძრძელვადიანი ფაქტორები, უწინარეს ყოველისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ჩვენი გეგმების განხორციელებას და დასახული სოციალური ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეეძლებთ, როდესაც გავაერთიანებთ მუშაობის ამ მიმართულებებს.

IV. ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გზაზე მეთორმეტე ხუთწლედში

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ინტენსიფიკაციის მთავარი რეზერვია

პარტიის მიერ დასახული ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსი ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპის უდიდეს შესაძლებლობებს. დღეს განსაკუთრებით აქტუალური ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვები: „...იმისათვის, რომ კომუნიზმი ვაშენოთ, უნდა გვქონდეს ტექნიკაც და მეცნიერებაც და ავამოქმედოთ ის“... „ავამოქმედოთ“ მეცნიერება და ტექნიკა — დღეს ეს ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მისი პრიორიტეტული მიმართულებით, ყოველივე მოწინავის სწრაფი და მასშტაბური ათვისების უზრუნველყოფას, საწარმოო ძალების თვისებრივ გარდაქმნას, ეს ნიშნავს აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოების მიერ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ერთობლივ შემუშავებასა და ეფექტიანად გამოყენებას, ეს ნიშნავს აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო შრომის დანაწილებაში.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. ისტორიულად მოკლე ვადაში შეიქმნა მძლავრი მეცნიერული პოტენციალი, რომელიც ყოველ ეტაპზე შესაძლებლობას გვაძლევდა წარმატებით გადაგვეჭრა დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი ამოცანები. მაგრამ საიდუმლო რადა, რომ ჩვენ ზშირად ჩამოვრჩებით პროგრესული ტექნოლოგიების და თვით იმ ტექნოლოგიების ათვისებაში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იშვა, მიუხედავად იმისა, რომ ვკავეს მნიშვნელოვანი მეცნიერული ნამუშევრები, მოწინავე იდეები. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ სამინისტროები სცოდავენ ტექნიკურ პოლიტიკაში, ზოგჯერ ეს არ სურთ გახედონ ხვალინდელ დღეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შარშან ივნისში გამართულ თათბირზე ღრმა ანალიზის საფუძველზე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი, რომ გადაჭრით აღმოვფხვრათ დაბრკოლებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზაზე, უზრუნველყოთ კარდინალური, რევოლუციური ძვრები მისი ყველა მიმართულებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მართვის სტრატეგია, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, ისის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო ფრონტით წინსვლის პროცესში თავი მოვიყაროთ არსებულ საშუალებებს საკვანძო მიმართულებებზე. მეორე, ფართოდ გაუხსნათ გზა საიმედო, პრაქტიკით შემოწმებულ ტექნიკურ სიახლეთა მასობრივ გამოყენებას, რათა მიეღოთ მაქსიმალური უკუგება, სანამ ეს სიახლენი მორალურად მოძველებოდეს. მესამე, სწრაფად და მიზნედასახულად ვაწარმოოთ მეცნიერული, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი პრინციპიულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა-ათვისებას, მრავალგზის რომ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. მეთორმეტე ხუთწლედში ამ ამოცანების გადაწყვეტა პრაქტიკულ რელსებზე გადაგვყავს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მოწინავე ტექნოლოგიების ფართო ათვისება. მხოლოდ ასეთ გზაზე დადგომის მეოხებით შევძლებთ მოვახდინოთ ძვრა, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა არათუ ცალკეულ საწარმოთა წარმოების, არამედ აგრეთვე მთელი დარგების თვისებრივად ახალი მდგომარეობა. მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია 1,5—2-ჯერ გაფართოვდეს პროგრესული, ყოველი დარგისათვის საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება. საგრძნობ ადგილს დაიკავებს ისეთი პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, როგორიც არის მემბრანული, ლაზერული, პლაზმური ტექნოლოგიები ზემაღალი წნევისა და იმპულსური დატვირთვების გამოყენებით და ა. შ. მათი გამოყენების მასშტაბი რამდენჯერმე გაიზრდება, რაც, უდავოდ თვალსაჩინო ეკონომიკურ ეფექტს მოგვიტანს.

მეორე მიმართულებაა წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ისინი მოწოდებული არიან ძირფესვიანად გარდაქმნან სამუშაო ადგილები, კიდევ უფრო ნაყოფიერი, შემოქმედებითი, მიმზიდველი გახადონ შრომა — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომა. ეს ერთი იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ამოცანათაგანია, რომელსაც პარტია ისახავს. ავტომატიზაციის დონე საშუალოდ სახალხო მეურნეობაში ორჯერ გაიზრდება. მრეწველობაში დასახულია ამოქმედდეს ტექნოლოგიური პროცესების მართვის დაახლოებით 5 ათასი ავტომატიზებული სისტემა.

ავტომატიზაციის თანამედროვე ეტაპი ეყრდნობა ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის რევოლუციას, სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაციას. ხუთწლედის წლებში გათვალისწინებულია შექმნათ და ათვისოთ ყველა კლასის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ახალი თაობები — ელექტრონულ-გამომთვლელი სუპერმანქანებით დაწყებული და სასკოლო სასწავლო პერსონალური მანქანებით დამთავრებული. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა საერთო გამოშვება ხუთწლეულში 2,3-ჯერ გაიზრდება. დასახულია ამოცანა განხორციელდეს ყველა დარგისათვის წარმოებული მანქანა-მოწყობილობის ფართო ელექტრონიზაცია. მოგავალი სწორედ ასეთ ტექნიკას ეკუთვნის.

მეთორმეტე ხუთწლედში ავტომატიზაციის დამახასიათებელი ნიშანია რობოტტექნიკის, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების, მოქნილი ავტომატიზებული წარმოებების სწრაფი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფენ დიდ მწარმოებლობას. მაგალითად, სამრეწველო რობოტების პარკი ხუთწლეულში 3-ჯერ გაიზრდება.

როგორც ვხედავთ, მასშტაბი გვარიანია. ამ პროგრესული და, უნდა ითქვას, ძვირად ღირებული ტექნიკის გამოყენებისადმი პრინციპულად ახალგური მიდგომა გემარჯვებს. ამავე დროს, ბევრ სამინისტროში დღესდღეობით იგი უაღრესად არაეფექტიანად გამოიყენება. მაგალითად, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მონაცემებით, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დიდმწარმოებლური დამზადებული ცენტრები არ არის დატვირთული, მათი ნაწილი კი საერთოდ უმოქმედოდაა. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ენერგომანქანათმშენებლობის სამინისტროთა ბევრ საწარმოში, რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხების მუშაობის ცვლილებობის კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია. ასეთი, უკაცრაული პასუხია, პრაქტიკა სახელს ატეხს უახლეს ტექნიკაში მოქცეულ შესაძლებლობებს და დიდი ზიანი მოაქვს. ამ საქმეში დაუყოვნებლივ უნდა დადგაროთ წესრიგი.

წარმოების მასალატევადობის არსებითი შემცირება დასახულია უზრუნველყოთ ეფექტიან სახეობათა ლითონპროდუქციის, პლასტიკური მასებისა და სხვა პროგრესული მასალების მასობრივი გამოყენების გზით. მათი გამოშვება ხუთი წლის მანძილზე მესამედით და მეტად გაიზრდება, მაშინ როცა ტრადიციული მასალების ზრდა შეადგენს მხოლოდ 6 პროცენტს. უდიდეს პერსპექტივებს გვისახავს ჩვენი მეცნიერების მიერ შემუშავებული პრინციპულად ახალი კონსტრუქციული მასალების გამოყენება, რომლებიც თავიანთი თვისებებით მრავალგზის აღემატება ამჟამად ხმარებულს. საქმე ეხება, კერძოდ, კომპოზიტებს. მეთორმეტე ხუთწლედში მათი დამზადება 10-12-ჯერ გაიზრდება.

მთლიანად ხუთწლედისათვის დასახული ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისების მასშტაბი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მატების ორ მესამედზე მეტს, თვითღირებულების შემცირებას მრეწველობაში 28 მილიარდი მანეთით.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება მოითხოვს მეცნიერული იდეებისა და ნამუშევრების არსენალის განუწყვეტელ და მზარდ შევსებას. აქ გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ფუნდამენტურ გამოკვლევებს, ჩვენს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც შესანიშნავი ტრადიციები და უდიდესი მიღწევები აქვს, ბევრის გაკეთება შეუძლია უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებას. მაგრამ მათი აღმოჩენები მხოლოდ მაშინ მოიტანს ეფექტს, თუ მათ დროზე აიტაცებენ და გამოიყენებენ, ანუ, თუ ზუსტად და აწყობილად იმუშავებს „მეცნიერება-წარმოების“ ციკლის ყველა რგოლი.

ამ ჯაჭვის ერთობ მნიშვნელოვან რგოლად გვეელინება დარგობრივი მეცნიერება. მას აქვს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების განვითარებული ქსელი, განაგებს დიდ სამეცნიერო ძალებს, და იქ, სადაც ამ ძალებს მარჯვედ იყენებენ, აშკარაა კარგი შედეგები. მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. ხშირად დარგობრივი ორგანიზაცია წლების მანძილზე ერთ ადგილს ტკეპნის, უქმად მუშაობს. მათი საქმიანობა ხშირად ექვემდებარება ვიწროუწყებრივი ინტერესების დაცვას, დაკარგული აქვს შემოქმედებითი ხასიათი, გამოირჩევა წვრილთემიანობით, საშუალებებისა და ძალების დაქსაქსვით. ბევრი სამინისტროს ხელმძღვანელებმა იციან ეს, მაგრამ ინერტულობისა და უპასუხისმგებლობას იჩენენ უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებაში. ამავე დროს მათ ახასიათებთ შესაშური აქტიურობა საზღვარგარეთ ისეთი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შეძენაში, რომელსაც წარმატებით შექმნიდნენ საკუთარი ძალებით. ასეთ მანკიერ პრაქტიკას მკაცრი, პრინციპული პარტიული შეფასება უნდა მიეცეს.

იმპორტულ ტექნიკასა და ტექნოლოგიას დახარბება, რომელმაც ბევრი ხელმძღვანელი შეიპყრო, გამხრწნელ გავლენას ახდენს შემმუშავებელთა კოლექტივებზე. როცა ხედავენ, თუ რა იოლად შეუძლიათ, შეიძინონ მოწყობილობა საზღვარგარეთ, ისინი არსებითად გულს იყრიან სამუშაოზე, დუნდებიან, უქრებათ ყოველგვარი შემართება და ფარ-ხმალს ყრიან სიძნელეთა წინაშე. ჩვენ სულაც არა ვართ საერთაშორისო შრომის დანაწილების შედეგების გამოყენების და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაზიარების მოწინააღმდეგენი, მაგრამ უწინარესად, ჩვენს უდიდეს მეცნიერულ პოტენციალს უნდა ვეყრდნობოდეთ. **(ხანგრძლივი ტაში).** ახალ ხუთწლედში გადაჭრით უნდა გარდაქმნათ დარგობრივი მეცნიერება და მაქსიმალურად დაეხმაროთ იგი წარმოებას, განვამტკიცოთ მატერიალური და განსაკუთრებით — საცდელ-საექსპერიმენტო ბაზები, აღვჭურვოთ ისინი თანამედროვე ხელსაწყოებითა და სამეცნიერო მოწყობილობით. დარგობრივი მეცნიერება მოვალეა იტვირთოს მთელი პასუხისმგებლობა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის. და სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი მისი საქმიანობის შეფასებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერების საქართველო სიქტორი. იგი ყველაზე ახლოს დგას წარმოებასთან, ორგანულად ეერწყმის მას და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უზრუნველყოფს ახალი ტექნიკის შემუშავება-წარმოების ვადების მნიშვნელოვან შემცირებას. ისეთი გაერთიანებანი, როგორიც არის „ელექტრომაქა“, „ურალმანქანა“, ივანოვოს ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება და სხვები, თავიანთ სახელს დიდად უნდა უმადლოდნენ ქარხნის მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს, საჭიროა უპირატესი ტემპით ვავითარებდეთ მეცნიერების ამ სექტორს, თამამად შეგვყავდეს მის შემადგენლობაში დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. უფრო სწრაფად უნდა წარმოებდეს მუშაობა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ორგანიზაციისათვის. ისინი მოწოდებული არიან წინ მიუძღოდნენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ეს პროცესი უკვე დაიწყო მანქანათმშენებლობაში. მთავარია მას აქტიურად დაეჭირონ მხარი სსრ დარგებშიც.

უკანასკნელ ხანს წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციათა გამოცდილების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში იქმნება დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები. ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებებზე იმყოფებიან და წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ახალ, ეფექტიან ფორმას წარმოადგენენ.

და მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ უზრუნველყოთ ინჟინერთა, მეცნიერთა, კონსტრუქტორთა შემოქმედებითი შრომის საჭირო ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული წანამძღვრები. სწორედ ეს მეცნიერ-კონსტრუქტორები წარმოადგენენ მეცნიერული იდეებისა და ნამუშევრების გენერატორებს, სწორედ მათზეა უწინარესად დამოკიდებული წარმოების ტექნიკური დონე. ამის გათვალისწინებით მიღებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ამ პროფესიების მუშაკთა საქმიანობის გაქტიურების, საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლების, შრომის სტიმულირების შესახებ.

ინერგება პრაქტიკულად კარგად გამომდგარი ანაზღაურების ახალი ფორმები, რაც საშუალებას გვაძლევს წვიახალისოთ დიდი შემოქმედებითი უკუგების მომცემი შრომა, დავძლიოთ გათანაბრების ტენდენციები. ერთხანს ბევრი ხელმძღვანელი დაბეჯითებით მოითხოვდა ამ ფორმების შემოღებას. ამიტომ ძნელი ასახსნელია ის ფაქტი, რომ დღეისათვის ანაზღაურების ახალ ფორმებზე ათამდე საწარმო და გაერთიანება თუ გადავიდა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რაოდენ ძლიერია ინერტულობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებში, რაოდენ საჭიროა ენერგიული, მასშტაბური მოქმედება.

ჩვენ ძირეულად უნდა გარდაქმნათ სამეურნეო მექანიზმი ეკონომიკის ყოველ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ინტერესებისათვის. მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს მექანიზმი თავისთავად ვერ მოგვცემს შედეგს, თუ იმავდროულად არ გაძლიერდა სამეურნეო ხელმძღვანელების და, უწინარესად, მინისტრების პასუხისმგებლობა. ისინი მოვალენი არიან იტვირთონ სრული პასუხისმგებლობა დარგებში წარმოების ტექნიკური დონისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის დარგის ახალ ამოცანათა გადაწყვეტაში ბევრი რამ არის დამოკიდებული სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტზე, რომელსაც ჯერ ვერ უპოვია თავისი ადგილი და არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მან ძირითადი ყურადღება უნდა მიაქციოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებათა კოორდინაციას, დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსებისადმი უშუალო ხელმძღვანელობას, ქვეყანაში სამეცნიერო ინფორმაციის ორგანიზაციას. ფრიად მნიშვნელოვანი და მისთვის ახალი მიმართულებაა კოორდინაცია გაუწიოს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე გათვალისწინებული კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის მუშაობას. და ბოლოს, იმისათვის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჩვენი ეგეგმების, მთელი ეკონომიკური ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდეს, ძირფესვიანად უნდა გარდაქმნათ მისი მართვის მთელი სისტემა. ეს ეხება დაგეგმვის პრაქტიკას, დაფინანსების, ფასწარმოქმნისა და სტიმულირების სისტემას, მთელ სამეურნეო მექანიზმს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, მეთორმეტე ხუთწლედის უპირველესი ამოცანაა მივაღწიოთ, რომ ყოველი საინჟინრო და სამეურნეო გადაწყვეტილება განხილებოდეს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის წვლილის განუწყვეტელი გადიდების პრიზმით. სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა საშუალებას იძლევა გეგმაზომიერად დავეუფლოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობებს. კაპიტალისტისაგან განსხვავებით, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევები, საბოლოო ანგარიშით, სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებას იწვევს, სოციალისტური სახელმწიფოს ხელში ეს საზოგადოებრივი განვითარების ძლიერი გარდამქმნელი ძალაა. აქ სოციალიზმს აქვს ისტორიული უპირატესობა და იგი სრულად უნდა გამოვიყენოთ. **(ტაში).**

2. საინვესტიციო პოლიტიკა და კაპიტალური მშენებლობა

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ქმედითი ინსტრუმენტია აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა. ყველა პერიოდში იგი ექვემდებარება ქვეყნის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანების გადაწყვეტას. მეთორმეტე ხუთწლედში საინვესტიციო პოლიტიკის სიახლე ის არის, რომ იგი მიზნად ისახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მატერიალური ბაზისა და სტრუქტურის თვისებრივ გარდაქმნას.

არსებითად გაიზრდება კაპიტალდაბანდებათა [illegible] 1981-1985 წლების 125 მილიარდი მანეთ[illegible] [illegible]ად მანეთამდე. მათი საერთო მოცულობა თითქმის ტრილიონ მანეთს მიაღწევს.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო უზარმაზარი კაპიტალდაბანდებანი როდია. საინვესტიციო პოლიტიკის წარმატებას ბევრად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება რესურსები, როგორ ჩამოყალიბდა მათი დარგობრივი და კვლაფწარმოებითი სტრუქტურა, როგორია მოგვარებული თავად კაპიტალური მშენებლობის პროცესი. მთელი ეს საკითხები ყოველმხრივ დამუშავდა ძირითად მიმართულებათა მომზადების დროს.

მეთორმეტე ხუთწლედის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა კაპიტალდაბანდებათა გვარიანი, 1,8-ჯერ გადიდება მანქანათაშენებელ კომპლექსში, რომელშიც მატერიალიზდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა მისი ინ დარგების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ თვისებრივ ძვრებს თავად მანქანათმშენებლობის ტექნიკურ დონეში. ამით მატერიალური საფუძველი ექმნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

სამაზო დარგებს შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სათბობ-ენერგეტი

ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენების გაგრძელება

შუალო ვადა მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს 20 და მეტ წელს შეადგენს. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

საპროექტო საქმის გაუმჯობესებაში ბევრი რამ უნდა გააკეთოს სსრ კავშირის სახმშენმა. სამინისტროსა და საპროექტო ორგანიზაციების მაგივრობის გაუწევლად მან უნდა განაორციელოს მშენებლობაში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, მეიმუშაოს პროექტების ხარისხისა და ტექნიკური დონის შეფასების სისტემა, ფართოდ დანერგოს დაპროექტება საკომპიუტერო საფუძველზე.

და ბოლოს, უპირველესი ამოცანაა მშენებლობის მართვის გარდაქმნა. ალბათ, არც ერთ სხვა დარგში ასე არ არის მიშვებული მართვისა და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფისათვის მუშაობა. ამასთან არსად ისე მწვავედ არ დგას იგი, როგორც ამ სფეროში. აქ უნდა აღმოიფხვრას მართვის დაქსაქსულობა და მრავალსაფეხურიანობა, გამოინახოს მოკავშირე რესპუბლიკების, ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოებასა და პასუხისმგებლობის გადიდებასთან ცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამების გზები.

ამრიგად, „კაპიტალურ მშენებლობაში უნდა დაიხვეწოს მისი ყველა რგოლი. სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი გეგმების რეალობა. **(ტაში).**

3. სტრუქტურული პოლიტიკა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსების განვითარება

სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა ეტაპზე ჩვენი პარტია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და კვლავ ანიჭებს სტრუქტურულ პოლიტიკას, პრიორიტეტების არჩევას, დარგთშორისი და მიდადარგობრივი პროპორციების ჩამოყალიბებას.

ძირითად მიმართულებათა პროექტში საფუძვლიანად არის განსაზღვრული სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფის, მისი დარგების განვითარების უმნიშვნელოვანესი დავალებანი, მიჯნები, რომლებსაც მათ უნდა მიაღწიონ. ნება მიბოძეთ შევეხო მეთორმეტე ხუთწლედის სტრუქტურული პოლიტიკის მხოლოდ ყველაზე პრინციპულ მიმართულებებს.

უწინარეს ყოვლისა ეს არის საბოლოო პროდუქტის — მანქანებისა და მოწყობილობის, მოხმარების საგნების, მზა სამშენებლო ობიექტების უპირატესი ზრდა ეგრეთ წოდებულ შუალედურ პროდუქტთან — სათბობთან, ნედლეულთან და ნახევარფაბრიკატებთან შედარებით. 1986-1990 წლებში ნედლეულისა და მასალების ღირებულების მატების ყოველ მანეთზე საბოლოო პროდუქციის მატება 1,4-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე გასულ ხუთწლეულში. მრეწველობაში ეს პროცესი გამოიხატება იმით, რომ გადამამუშავებელი დარგების მატების ტემპი ერთიორად უფრო სწრაფია, ვიდრე სათბობ-სანედლეულო დარგებისა. ასეთ ძვრას მნიშვნელოვნწილად საფუძვლად უდევს რესურსების დაზოგვის პოლიტიკა.

მეორე თავისებურებაა იმ დარგების დაჩქარებული განვითარება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ სახალხო მეურნეობამ მიაღწიოს მსოფლიოში მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ მიჯნებს, — ელექტროენერგეტიკისა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობისა, და, რა თქმა უნდა, მანქანათმშენებლობისა. 1990 წელს მრეწველობაში მათი წილი 41 პროცენტს მიაღწევს.

დაბოლოს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უკლებლივ ყველა დარგმა წინანდელზე მეტად დაისახოს მიზნად სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება და მომსახურების სფეროს განვითარება. გათვალისწინებულია გაძლიერდეს მრეწველობის „ბ“ ჯგუფის უპირატესი განვითარება „ა“ ჯგუფთან შედარებით.

ყველაზე არსებითი სტრუქტურული ძვრები უკავშირდება მანქანათმშენებლობის უპირატესი ზრდის გაძლიერებას. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძირითად მიმართულებათა შეძლებადის დროს აღნიშნა, თუ რაოდენ საშიშია მანქანათმშენებლობის წამყვანი როლის შეუფასებლობა, ხაზი გაუსვა, რომ უნდა დავძლიოთ მისი ზრდის ტემპისა და მთელი მრეწველობის დაახლოების წინათ გამოკვეთილი ტენდენცია. მეთორმეტე ხუთწლედში ამ დარგის განვითარების ტემპი 1,9-ჯერ აღემატება მთლიანად სამრეწველო წარმოების მატების ტემპს. გასწრების კოეფიციენტი მეტად მნიშვნელოვანია, რაც საშუალებას გვაძლევს გავაძლეროთ სახალხო მეურნეობაში მანქანათმშენებლობის პრიორიტეტული პოზიციები.

მანქანათმშენებელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეცვალონ წარმოების სტრუქტურა, გაუმჯობესონ მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხობრივი მახასიათებლები. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ყოველწლიური განახლება დასახულია 1990 წლისათვის 13 პროცენტამდე გაიზარდოს 1985 წლის 4,5 პროცენტთან შედარებით. მანქანათმშენებლობის უპირატესი ზრდის პირობებში ეს რეალურ ბაზის უქმნის თანამედროვე საფუძველზე ქვეყნის საწარმოო აპარატის ტექნიკურ განახლებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციას, რომლის ტექნიკური დონე უწინარეს ყოვლისა ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის განვითარებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ გაიზრდება ისინი მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად, ვიდრე მთლიანად მანქანათმშენებლობა. აშასთან ყოველ მანქანათსაშენებელ სამინისტროში უნდა ვითარდებოდეს საკუთარი ჩარხმშენებლობა ნავარაუდევი დარგის სპეციფიკური საჭიროებებისათვის.

მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომმა ამოცანებმა მოითხოვა ამ რთული დარგის მართვის გაუმჯობესება. შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიურო. იგი იწყებს თავის მუშაობას.

შესაძლენელი ცვლილებები იკვეთება საკონსტრუქციო მასალების კომპლექსში, აქ მთავარია მათი პროგრესული, ეკონომიკური სახეობების წილის გადიდება. ამის მეთხებით საკონსტრუქციო მასალებზე სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდება მათი წარმოების ზრდის მნიშვნელოვნად ნაკლები ტემპის პირობებში. ეს კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ქვეყანაში რესურსების დაზოგვის პრობლემის გადაჭრაში.

მაგალითად, შავი მეტალურგიის ფართო მასშტაბის ტექნიკური განახლების შედეგად გაუმჯობესდება ლითონპროდუქციის სტრუქტურა და ხარისხი. ეს კი საშუალებას მოგვცემს ხუთწლეულში შავი ლითონების მზა ნაგლინის დამზადების მარტო 9 პროცენტის გადიდების პირობებში მივაღწიოთ მთელი სამრეწველო წარმოების 21-24 პროცენტთან, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების 40-45 პროცენტით ზრდას. ამავე დროს უნდა უზრუნველვყოთ ლითონის უფრო რაციონალური გამოყენება, უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობასა და მშენებლობაში.

ფერად მეტალურგიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა რესურსების კომპლექსურ გამოყენებასა და ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვების გადიდებას. დაჩქარდება ლითონებისა და სხვა ტრადიციული მასალების ქიმიური მასალებით შეცვლა. უაღლეს სახეობათა პლასტმასების წარმოება თითქმის 6-ჯერ გაიზრდება. უპირატესი ტემპია გათვალისწინებული პროგრესული ხე-ტყის მასალების წარმოებაშიც.

ამ კომპლექსის განვითარებაში არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი მიმართულება გახდება ნედლეულის მოპოვებისა და მზა პროდუქციის თანაფარდობის გაუმჯობესება. მაგალითად, შავი ლითონების ნაგლინის მოცულობა გაიზრდება პრაქტიკულად მადნის მოპოვებისა და თუჯისა და კოქსის წარმოების გაუდიდებლად. ყოველ კუბურ მეტრ გატანილ მერქანზე ხე-ტყის გადამუშავების პროდუქციის გამოშვება 16 პროცენტით გადიდდება. ყოველივე ამის მიღწევა დასახულია დარგის ტექნოლოგიური დონის სრულყოფის გზით.

მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საიმედოობის უზრუნველყოფა მოითხოვს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომ განმტკიცებას. სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის შესაბამისად დიდი ძვრები მოხდება სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურაში. ხუთწლედის დამლევისათვის ელექტროენერგიის მთელ წარმოებაში ატომურ ელექტროსადგურებში მისი გამოშუშავების ხვედრითი წილი თითქმის გაორკეცდება და 20 პროცენტს გადააჭარბებს.

მეორეთმეტე ხუთწლედში სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრო შეუერიგდა ატომურ ელექტროსადგურებში სიმძლავრეთა ამოქმედების ჩაფუშვას, რამაც გამოიწვია ორგანულ სათბობზე დამატებითი მოთხოვნილება. თუ გავთვალისწინებთ დაძაბულობას ქვეყნის სათბობ ბალანსში და ატომური ენერგეტიკის მზარდ როლს, ასეთი ჩაფუშვები შემდგომში დაუშვებელია.

სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებში 38 პროცენტამდე გაიზრდება გაზის ხვედრითი წილი. გაზის მრეწველობა ცუდად როდი ართმევს თავს თავის ამოცანებს. მაგრამ თვითდამშვიდების მიზეზები არა გვაქვს. ურენგოის სამადო საპროექტო სიმძლავრეს რომ მიაღწევს, გაზის მოპოვება ხომ ძირითადად იამბურგის ხარჯზე მოიმატებს. ახლა მთავარია დავაჩქაროთ მისი მოწყობა-განვითარების ტემპი. აგრეთვე დროულად უნდა შეკვმნათ კარგი მარაგნაკეთი სამერმისოდ.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს საქმის ვითარება ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში, განსაკუთრებით დასავლეთ ციმბირში. ხუთწლედის დამლევისათვის მან ნავთობის საერთო-საკავშირო მოპოვების ორ მესამედი უნდა მოგვცეს. ამ დარგის მუშაობაში შეფერხებებმა სიძნელეები წარმოშვა ეკონომიკაში. ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტრო, მთავარტიუმენნავთობგაზი და მისი საწარმოები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ მსხვილი სამადოების ჭაბურღილთა დებიტების შემცირების პირობებში მუშაობისათვის. დაშვებული ჩამორჩენა უმოკლეს ვადებში უნდა დავძლიოთ. პარტიამ და მთავრობამ არსებითი დახმარება გაუწიეს მენავთობეებს. ახლა საქმის წარმატება დამოკიდებულია სამინისტროს ორგანიზატორულ მუშაობაზე, მის მონდომებაზე უთუოდ შეასრულოს ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული დავალებანი, ამისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმვაზე. ნავთობის დასახული მოცულობის უზრუნველყოფაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა.

ქვანახშირის მრეწველობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღმოსავლეთ რაიონებში ქვანახშირის ღია წესით მოპოვებას. აგრეთვე უნდა განვაგრძოთ ძველი აუზების, მათ შორის დონბასისა და კუზბასის საშახტო ფონდის ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია.

ეკონომიკის დინამიკური განვითარება მოითხოვს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ფართო გაქანებას, განსაკუთრებით ნავთობის, გაზის, მადნის პოვნის მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგის ათვისებისათვის მომზადების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას.

სტრუქტურული გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა იმ ორიენტაციის გაძლიერება, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ხალხის მრავალფეროვანი და მზარდი მოთხოვნილებანი. ეს გამოიხატება კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის მწარმოებელი დარგების დაჩქარებული განვითარებით.

მეთორმეტე ხუთწლედში უფრო მჭიდრო და შეთანხმებული გახდება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების ურთიერთმოქმედება, რაც ხელს შეუწყობს მისი მუშაობის დიდი საბოლოო შედეგების მიღწევას, მნიშვნელოვნად განვითარდება სოფლის მეურნეობა, განმტკიცდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალი ტექნიკით, მინერალური სასუქებით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფრო სრული უზრუნველყოფის, მელიორირებული მიწების ფონდის გაფართოებისა და ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე უნდა გავადიდოთ ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. დასახული გვაქვს მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 250-255 მილიონ ტონამდე, ხორცისა კი 21 მილიონ ტონამდე. ამ დიდი მაჩვენებლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური ტექნოლოგიების, მიწათმოქმედების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბაზაზე, აგროსამრეწველო კომპლექსში მართვისა და მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე დაყრდნობით. დაგეგმილი პერიოდის თავისებურება იქნება გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტირების პრიორიტეტული განვითარება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისათვის უკეთესი პირობების შექმნა. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ არარაციონალური დანახარჯები და დანაკარგები, გავადიდოთ სასურსათო საქონლის რესურსები, გავუმჯობესოთ მისი ხარისხი.

მოსახლეობისათვის განკუთვნილი სამრეწველო საქონლის გამოშვების დავალებანი განსაზღვრულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად, პროგრამისა, რომელიც სახავს მათი ზრდისა და სრულყოფის ფართო შესაძლებლობებს. ისახება ამოცანა მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობა, მომსახურების სფერო და ვაჭრობა დავაყენოთ ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე, დავაჩქაროთ ამ დარგების განვითარების ტემპი. გათვალისწინებული გვაქვს არასასურსათო საქონლის გამოშვება ხუთწლეულში გავადიდოთ 1,3-ჯერ, ესე იგი ტემპით, რომელიც აღემატება მთლიანად სამრეწველო წარმოების მოცულობას; არსებითად გაფართოვდება მისი ასორტიმენტი და გაუმჯობესდება ხარისხი.

ჩვენი ეკონომიკისათვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მთელი ინფრასტრუქტურის — ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სისტემის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სასაწყობო მეურნეობის, საგზაო ქსელის კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული განვითარება.

პასუხსაგები ამოცანები დგას ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე. მათ უნდა უზრუნველყონ ტვირთისა და მგზავრთა სულ უფრო მზარდი ნაკადები, განსაკუთრებით ქვეყნის ევროპულ ნაწილსა და აღმოსავლეთ რაიონებს შორის. მათი გადაწყვეტა მოითხოვს ყველა სახეობის ტრანსპორტის შეთანხმებულ მოქმედებას, მის ახალ სახეობათა განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას. მეთორმეტე ხუთწლედში უნდა გადაწყდეს არა მარტო საწარმოო, არამედ სოციალური უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — საავტომობილო გზებით დავაკავშიროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ცენტრალური კარმიდამო რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებთან.

ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში საზოგადოებრივი შრომის რაციონალური ტერიტორიული დანაწილების საერთო-სახელმწიფო პოზიციებიდან განსაზღვრულია მიდგომა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და დიდი რეგიონების განვითარებისადმი. ძირითად მიმართულებათა პროექტის დავალებათა მიზანია ყველა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდა, საწარმოო ძალების განლაგების სრულყოფა. თითოეული მათგანი თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდაში.

ტერიტორიულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წარმოების განლაგებისა და შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო მჭიდრო დაკავშირება. ცნობილია, რომ სხვადასხვა სახეობის რესურსები ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბარზომიერადაა განაწილებული, საწარმოო ფონდების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია სსრ კავშირის ევროპულ რაიონებში, სათბობისა და ნედლეულის მოპოვება კი ახლა იზრდება უპირატესად ციმბირში. შრომითი რესურსების ყველაზე დიდი მატება კი მოდის შუა აზიისა და ამიერკავკასიის წილად. ძირითად მიმართულებათა პროექტით გათვალისწინებულია ენერგოტევადი საწარმოთა დაახლოება სათბობ-ენერგეტიკულ ბაზებთან და სამუშაო ადგილების გადიდება რაიონებში, რომელებსაც საჭირო შრომითი რესურსები აქვთ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, მათი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებასა და მათკენ ტრანსპორტის მისასვლელი გზების უზრუნველყოფას.

ამრიგად, მეთორმეტე ხუთწლედის სტრუქტურული პოლიტიკა ექვემდებარება ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანებს, მტკიცე საძირკველს უყრის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. **(ტაში).**

4. სრულვყოთ მართვის სისტემა და მეურნეობრიობის მეთოდები

ამხანაგებო! ჩვენი გეგმებისა და ამოცანების რეალიზაციის წარმატება განუხრელად არის დაკავშირებული მართვის სისტემისა და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფასთან. წარმოება ვერ შემოვაბრუნებთ ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის გზაზე წინანდელი მეთოდებითა და ძველი ორგანიზაციული ფორმებით, თუ მათ გადაჭრით არ გარდავქმნით ახალი პირობებისა და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. და აქ საჭიროა არა ნაწილობრივი გაუჯობესება, არამედ, როგორც პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, — რადიკალური რეფორმა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მართვის სისტემის გაუმჯობესების დაბეჯითებულ საჭიროებას ამ ბოლო დრამდე ჯეროვნად ვერ ვაფასებდით. ეს სამუშაო ნელა და სანახევროდ სრულდებოდა. ძველი, უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდების ერთგულება ჭარბობდა. აზროვნების მოდუნებას გარდაუვალად მოსდევდა საქმიანობის მოდუნება.

პარტიამ გამოიტანა საჭირო დასკვნები, დასახა მკაფიო ამოცანა: განვახორციელოთ მართვის მთელი სისტემის სრულყოფის დიდი ღონისძიებანი, რათა არსებითად გავზარდოთ მისი ეფექტიანობა, მიზნად დავისახოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურება. ეს ამოცანა ვრცლად და ღრმად არის დასაბუთებული სკკპ XXVII ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი მოქმედების პრინციპული გზა. მისი არსი ის გახლავთ, რომ კვლავაც, დემოკრატიული ცენტრალიზმის ურყევ პრინციპზე დაყრდნობით უნდა განვამტკიცოთ და სრულვყოთ ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობა — სოციალიზმის დიადი მონაპოვარი და ძირითადი უპირატესობა. ამ საკითხში, ჩანს, ჩვენ „ვერ გავამართლებთ“, და ვერც ვერასდროს გავამართლებთ ბურუუაზიულ იდეოლოგთა იმედებს, რომლებიც მოელიან, რომ ჩვენ ამ ფუძემდებელ პრინციპს განვუდგებით. **(ტაში).** ამავე დროს პარტია მტკიცედ განაგრძობს მუშაობას, რათა გაფართოოს საერთიანებებისა და საწარმოების დამოუკიდებლობის ფარგლები, გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის, სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებისათვის. სახალხო მეურნეობის უდიდესი მასშტაბი, დარგთშორისი და რეგიონალური კავშირის გაფართოება გვიკარნახებს აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ მივაღწიოთ დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ოპტიმალურ შეხამებას, ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას.

ამ მიმართულებით, უკანასკნელ წლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მართვის უფრო ეფექტიანი ფორმების ძველთან შედარებით ფართო ძიება და ექსპერიმენტული დადგენა, გამართლებული სიახლეთა გავრცელება ეკონომიკური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი გახდა. ჩვენ დავიწყეთ საწარმოთა და გაერთიანებათა უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოებით, იმ რგოლის უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოებით, სადაც იქმნება მატერიალური სიკეთე და ერთმანეთს ერწყმის მართვის ყველა ძაფი. აქ სამეურნეო მექანიზმის ნაკლოვანებანი განსაკუთრებით საგრძნობლად ვლინდებოდა. შრომითი კოლექტივების ინტერესებსა და მუშაობის საბოლოო შედეგებს შორის მჭიდრო კავშირის უქონლობა აქვეითებდა მათს ინიციატივასა და შემოქმედებას, არ აღუძრავდა მათ სურვილს გამოიყენებინათ სიღრმეული რეზერვები. წარსულის შეცდომები რომ არ გაგვიმეორებინა, ახალი მეთოდების შემუშავება მიმდინარეობს ცალკეული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოვაჩინოთ ახალი მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები, გავაუმჯობესოთ ისინი და ეტაპობრივად გავაფართოოთ გამოყენების სფერო.

მეთორმეტე ხუთწლედში ბიჯითად უნდა ვიმუშაოთ მართვის მთლიანი სისტემის შექმნისათვის, თანამიმდევრულად დავხვეწოთ სამეურნეო მექანიზმის ელემენტები, გამოვძებნოთ წარმოების დაგეგმვის, სტიმულირებისა და ორგანიზაციის უფრო ეფექტიანი ფორმები და მეთოდები.

ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი გადავიყვანოთ მართვის ახალ მეთოდებზე. ახლა ახლებურად მუშაობენ საწარმოები, რომლებიც ნახევარ მრეწველობის პროდუქციას უშვებენ, კავშირგაბმულობის მთელი დარგი, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ტრანსპორტის ცალკეული საწარმოები. 1987 წლიდან კი ამ პრინციპებით იმუშავებს მრეწველობის ყველა საწარმო, ტრანსპორტი. ამავე დროს უმოკლეს დროში უნდა დავამთავროთ აგროსამრეწველო კომპლექსისადმი ხელმძღვანელობის ორგანიზაციული გარდაქმნა, შევქმნათ საჭირო წანამძღვრები ეკონომიკური მეთოდების არსებითი გაძლიერებისათვის, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და გაერთიანებებში ნამდვილი სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის ფართოდ დანერგვისათვის.

როგორც აღინიშნა, გადაუდებელია მშენებლობის მართვის სრულყოფა. აქ უკვე წელს უნდა დაიწყოს დაგეგმვის ახალი მეთოდებისა და სამეურნეო მექანიზმის ელემენტების ექსპერიმენტული შემოწმება, რათა მომავალში ისინი ქმნიან ეკონომიკური ცხოვრების ფართო ველი. საგულდაგულო დამუშავებას მოითხოვს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად კაპიტალური მშენებლობის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი კომპლექსი.

სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის, მისი ყველა ელემენტის კომპლექსური დამუშავებისათვის მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებას. მჭიდრო, მკაცრი დამოკიდებულება უნდა დავამყაროთ საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის საბოლოო შედეგებსა და იმ ფონდებს შორის, რომლებსაც ისინი ქმნიან წარმოების განვითარებისათვის, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისებისათვის, სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, და საქმის არსი ის არის, რომ ეს ფონდები სულ უფრო მეტად განსაზღვრავდნენ საწარმოთა ცხოველქმედების ყველა მხარეს: როგორც საწარმოოს, ისე სოციალურს.

ამ მიზნით დგება ამოცანა, ჯერ ერთი, წარმოების განვითარების ფონდი დადავიქციოთ ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ძირითად წყაროდ. მეორე, განვახორციელოთ ხაზი იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივების სანინაო და სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრები პირობების გაუჯობესება სულ უფრო მეტად ხორციელდებოდეს მათ მიერ გამომუშავებული სახსრებით. მესამე, გავაძლიეროთ თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურების დამოკიდებულება საბოლოო შედეგებში მის პირად წვლილზე. მეოთხე, მთლიანად ჩაკეტილთ ყველა არხი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ზოგის უყაირათობა დაიფაროს სხვების დიდი შედეგებით. მეხუთე, უზრუნველვყოთ სახელშეკრულებო ურთიერთობის სფეროს შემდგომი გაფართოება და მომხმარებლების წინაშე ვალდებულებათა შესრულებისათვის საწარმოთა უმკაცრესი პასუხისმგებლობა. დაბოლოს, რაც მეტად მნიშვნელოვანია, — შევწყვეტოთ წვრილმანი მეურვეობა, ზედგამი ორგანოების ჩარევა შრომითი კოლექტივების კანონიერ უფლებებში, მივცეთ მათ შესაძლებლობა თავად გამოძებნონ გეგმების რეალიზაციის ოპტიმალური გზები. **(ტაში).**

სწორედ ეს არის ნამდვილად სრული სამეურნეო ანგარიში. სწორედ ასეთი ეკონომიკური პირობები უცილობლად მოითხოვს საწარმოებისა და გაერთიანებებისაგან საწარმოო პოტენციალის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მაქსიმალურ გამოყენებას, რესურსების ყოველმხრივ დაზოგვას, აიძულებს მათ მოქნილად და დროულად მოახდინონ რეაგირება მომხმარებელთა მოთხოვნებზე.

ჩვენ შეუპოვრად უნდა ვიბრძოლთ, რათა გავაუმჯობესოთ სამეურნეო ანგარიში, გადავიყვანოთ საწარმოები თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე. ამჟამად ამ პრინციპების კომპლექსური აპრობაცია მიმდინარეობს ვოლგის საავტომობილო ქარხანასა და სუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. აქ კარგი შედეგებია მიღებული. ამ გზით უნდა ვიაროთ ენერგიულად.

მეურნეობრიობის ახალი მეთოდების სრულყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ნორმატივების სისტემის განვითარებას. ისინი უნდა დავაწესოთ მთელი ხუთწლედისათვის და შრომითს კოლექტივებს შევუქმნათ რწმენა, რომ ეფექტიანი მუშაობა უთუოდ ჯაჭილდოვდება მატერიალურადაც, მორალურადაც. პირიქით, ცუდი შედეგები საგრძნობლად იქნება მთელი კოლექტივისათვის. ამ საქმეში ყველაზე საშიშია ნორმატივების სტაბილურობის პრინციპის დარღვევა. საშუალოდ, ასეთი პრაქტიკა გვაქვს. იგი ძირს უთხრის სამეურნეო ანგარიშის უმნიშვნელოვანეს საფუძვლებს, ამიტომ მას ყველაზე მტკიცე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ნორმატივები საგეგმო ხელმძღვანელობის პერსპექტიული ინსტრუმენტია. მათში ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული საწყისი მოქნილად არის შეხამებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ღირებულების კანონის გამოყენებასთან. მთავარია, რომ მათ სრულად დაეუფლონ ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები, სამინისტროები და საწარმოები. შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით უნდა გავფართოოთ ნორმატივების გამოყენების სფერო, ნორმატიულ საფუძველზე გადავიყვანოთ სახელმწიფო საწარმოთა და ბიუჯეტის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა.

საწარმოთა უფლებების გაფართოების გეზი, რომელსაც შეიცავს ახალი სამეურნეო მექანიზმი, ჯეროვან უკუგებას მოგვცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი პრინციპებით იქნება გამსჭვალული წარმოების ყველა რგოლი, თვით ბრიგადისა და სამუშაო ადგილის ჩათვლით. ეს მოითხოვს ორგანულად დაეუკავშიროთ გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო ანგარიში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სიაჯარო ფორმის განვითარებას. ამის მეთხებით მეტი გასაქანი მიეცემა მასების შემოქმედებასა და ინიციატივას. გაღრმავდება კოლექტივისეტური საწყისები წარმოებაში, კიდევ უფრო მეტად დამკვიდრდება ადამიანთა შეგებული ლეგენობა საერთო საქმეში. სწორედ მაშინ განხორციელდება ვ. ი. ლენინის ის მითითება, რომ აუცილებელია „შეგნებული მუშა თავს გრძნობდეს არა მარტო ბატონპატრონად თავის ქარხანაში, არამედ ქვეყნის წარმომადგენლად, რომ იგი გრძნობდეს თავის თავზე პასუხისმგებლობას“. **(ტაში).**

პოლიტიკურ მოხსენებაში ახლებურად, პრინციპული პოზიციებიდანაა დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ განვითარდეს მართვის დემოკრატიული საწყისები, გაფართოვდეს საწარმოთა საქმეებში მშრომელთა უშუალო მონაწილეობა, უფრო სრულად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივების გამოყენების შესახებ. სამეურნეო და სოციალური გეგმების შემუშავებასა და შესრულებაში, ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც საწარმოთა ცხოვრებას ეხება, შრომითი კოლექტივების აქტიური, შემოქმედებითი მონაწილეობის გარეშე არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ სამეურნეო მექანიზმი ეფექტიანად იმუშავებს. ამიტომ მართვაში მშრომელთა მონაწილეობის არსებულ კოლექტივისტურ ფორმებთან ერთად უნდა გამოვძებნოთ ახალი ფორმები. ერთ-ერთი ასეთი ქმედითი ფორმა, როგორც აღინიშნა მოხსენებაში, შეიძლება გახდეს შრომითი კოლექტივების საბჭოები. მართვაში დემოკრატიული საწყისების გაფართოებაში მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

მართვის სრულყოფისათვის მუშაობის დიდი ნაკლი ახლო წარსულში ის იყო, რომ ჯეროვანი შეფასება არ ეძლეოდა მეურნეობრიობის ეფექტიანობის გადიდებაში ორგანიზაციული სტრუქტურების როლის მნიშვნელობას. უკანასკნელ წლების მახვილზე საწარმოო გაერთიანებების შექმნა შეუუწყარებლად შეფერხდა, და ბევრ დარგში ისინი ვერ გახდნენ წარმოების ორგანიზაციის განმსაზღვრელი ფორმა. ამ პროცესს უნდა მივანიჭოთ ახალი იმპულსი. უფრო თამამად უნდა ვიაროთ დიდი დარგთშორისი გაერთიანებების შექმნის გზითაც, რომლებიც უზრუნველყოფენ საუწყვეთ ბარიერებისაგან თავისუფალ ეფექტიან სპეციალიზაციასა და კოოპერაციას.

ახლებურად უნდა გადავწყვიტოთ სამინისტროების როლისა და ფუნქციების საკითხი. მათი მუშაობის შინაარსი და სტილი, ორგანიზაციული სტრუქტურები ყალიბდებოდა მეურნეობრიობის ძველი, უპირატესად

ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენების დასასრული

ეროვნული

ახლა ხდება უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ერთობლივი აპრობაცია, დიდი მასშტაბის კოოპერაციის განვითარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, და უწინარეს ყოვლისა თანამედროვე სახელობათა მანქანა-მოწყობილობის გამოშვებაში. ამ პოზიციებიდან უნდა წარმართვდნენ თავიანთ საგარეო-ეკონომიკურ მუშაობას ჩვენი ცენტრალური საგეგმო და სამეურნეო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები. ბევრი რამ, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება სოციალისტური ქვეყნების კოლექტიური ორგანიზაციის — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებაზეც.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 1986-1990 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების დამთავრებული კოორდინაცია გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ უკვე მიმდინარე ხუთწლედში უდავოდ გაკეთდება. საინტეგრაციო პროცესების შემდგომ გაღრმავება შემოქმედებითს, ნოვატორულ მიდგომას მოითხოვს. ექსტენსიური განვითარების პერიოდში ჩამოყალიბებულ ძველ, ჩვეულებრივ ფორმებს აღარ ძალუძთ თანამშრომლობის დინამიკური ზრდის უზრუნველყოფა. ამიტომ უნდა ვეძებოთ ახალი გზები, გადაჭრით დავადგეთ საწარმოებისა და დარგების უშუალო ურთიერთმოქმედების გზას, განვავითაროთ პირდაპირი სამეურნეო კავშირები, შეექმნათ ერთობლივი გაერთიანებები, საკონსტრუქტორო ბიუროები და ლაბორატორიები. ამას დასაბამი უკვე მიეცა, ჩამოყალიბდა რამდენიმე ერთობლივი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ეს, რა თქმა უნდა, ინტეგრაციის ახალი ფორმების მხოლოდ ყლორტებია. მაგრამ მომავალი ამ საქმეს ეკუთვნის.

ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაძლიერება სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთანაც. მნიშვნელოვნად გაფართოვდება საქონელბრუნვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

საბჭოთა კავშირი კვლავაც განაგრძარებს თანამშრომლობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ჩვენი მრავალფეროვანი დახმარება ამ სახელმწიფოებისათვის ხელს უწყობს მათი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, კოლონიური მემკვიდრეობის დაძლევას, წინსვლას ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზით. ბევრ მათგანთან, მაგალითად, ინდოეთთან და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირს უკვე აქვს სტაბილური, გრძელვადიანი ურთიერთობა. იგი სულ უფრო ურთიერთხელსაყრელი ხდება. განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერის გეზს, რაც სამართლიან, დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ, რის დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებს. **(ტაში).**

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს თანამშრომლობას განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, აქ ჩვენ გვარიან შესაძლებლობებს ვხედავთ. ეს ეხება პრაქტიკულად ყველა სახეობის კავშირურთიერთობას — სავაჭროს, სამეცნიერო-ტექნიკურს, საფინანსო-საკრედიტოსა და სხვებს. მაგრამ ცნობილია, რომ თანამშრომლობა ორმხრივი საქმეა. აქ საჭიროა ორმხრივი ინტერესების მკაცრი გათვალისწინება, იმ ყოველგვარი შეზღუდვის, ბოიკოტების და ემბარგოების მთლიანად უარყოფა, რომელთა ორგანიზატორადაც შეიერთებული შტატები გვევლინება. ეკონომიკური ურთიერთობა თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება დაიმყაროს მხოლოდ თანასწორუფლებიანობას, ნდობას, ურთიერთმორიგებათა მკაცრად დაცვას. ამის საწინაღმდეგოდ მოქმედება, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დაქვემდებარება საძარცვისი პოლიტიკური გეგმებისადმი მსოფლიო პოგრესის შეჩერების ცდის ტოლფასია. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო ასეთი ცდების სრული უსაფუძვლობა. ამის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში წამოყენებულია ახალი წინადადება — მოწვეულ იქნეს მომავალში ეკონომიკური უშიშროების პრობლემათა მსოფლიო კონგრესი, რომელზეც შეიძლება ვიმსჯელოთ ყოველივე იმის შესახებ, რაც ამძიმებს მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებს.

საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი და სულ უფრო მზარდი წვლილი შეიქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში. ახლა პრაქტიკულად არ არის დარგი, რომელიც მოქცეული არ იყოს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სფეროში, მაგრამ სწრაფი წინსვლა ტრადიციული გზებით შეუძლებელია. უწინარეს ყოვლისა უნდა შევაცვალოთ ექსპორტის ორიენტაცია ნედლეულზე, გავზარდოთ მასში დამამუშავებელი დარგების წვლილი. გასაგებია, რომ ეს დროს მოითხოვს, მაგრამ მუშაობა უკვე მეთორმეტე ხუთწლედში უნდა გავშალოთ. სამინისტროები, გაერთიანებები და საწარმოები ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების კურსს უნდა დაადგნენ, მათ უნდა გააუმჯობესონ მანქანა-მოწყობილობის, სხვა მზა ნაწარმის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა. უმკაცრესი წესრიგი უნდა დავამყაროთ აგრეთვე სავალუტო სახსრების ხარჯვაში. საიმპორტო პოლიტიკა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ახალ მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გარდაიქმნას საგარეო-ეკონომიკური უწყებებიც. საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ეკონომიკური კავშირურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაობაში დიდი ნაკლოვანებები და ხარვეზები იყო, რომლებიც ჯერ კიდევ ნელა აღმოიფხვრება. საჭიროა, რომ ეს უწყებები უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სამინისტროებთან და საწარმოებთან, ეძებდნენ საგარეო ბაზრის მოთხოვნებთან თანა ინტერესების გაერთიანების ფორმებს, ასრულებდნენ არა უბრალოდ შუამავლების, არამედ სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის აქტიური მონაწილეების როლს.

V. სოციალური განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მეთორმეტე ხუთწლედში

ამხანაგო დელეგატებო! მეთორმეტე ხუთწლედისათვის დასახული ეკონომიკისა და მისი ეფექტიანობის ზრდა მყარ საფუძველს უქმნის არსებითს წინსვლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დებულებათა რეალიზაციაში, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის თვისებრივ ამაღლებას, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფას. ამ ამოცანის გადაწყვეტას პარტია ორგანულად უკავშირებს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, შრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გააქტიურებას. ეს არის ძლიერი სოციალური პოლიტიკის არსი სსრ კავშირში საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარების პირობებში. მისი უცილობელი მოთხოვნაა სოციალური სამართლიანობის, ცხოვრებისეულ საკითხთა სოციალისტური განაწილების პრინციპის რაც შეიძლება სრულად განხორციელება.

ამის შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის თვისებრივი პირობების გაუმჯობესებას, საერთო საქმეში თითოეულის შრომითი წვლილის გადიდებას.

როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური განვითარების ინტერესები, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს შრომის პირობების, ხასიათისა და შინაარსის სერიოზულ გარდაქმნებს. საზოგადოების წევრთა მრავალფეროვან მოთხოვნათა შორის შინაარსიანი, შემოქმედებითი შრომის მოთხოვნილება სულ უფრო დგება წინა პლანზე. ახალ ხუთწლედში უნდა მივაღწიოთ გარდატეხას ისეთი მომწიფებული პრობლემის გადაჭრაში, როგორიც არის ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის გამოყენების შემცირება. მისი შემცირების მასშტაბი და ტემპი სულ ცოტა ორ-სამ-ჯერ უნდა გავზარდოთ.

შრომის პირობების გაჯანსაღებასა და შინაარსის გამდიდრებას უნდა მოხმარდეს საწარმოო აპარატის განახლება, წარმოების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ელექტრონიზაცია, მთელი მუშაობა ტექნიკური განახლებისათვის. ამას უნდა შეუწყოს ხელი სამეშვეო ადგილების სისტემატურმა ატესტაციამ, შრომის მეცნიერულმა ორგანიზაციამ.

მხედველობაში უნდა გვქონდეს საკითხის სხვა მხარეც. საბჭოთა მუშის განათლებისა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე წარმოების შესაბამისი პირობების შექმნის საჭიროებას გვიკარნახებს. თანამედროვე მუშა არ გაგიჩერდება ჩამორჩენილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში. და სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ ამას.

უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანაა გავზარდოთ შრომის ანაზღაურების სისტემის ქმედითობა. გათანაბრების ელემენტები, რომლებიც ბოლო დროს გაძლიერდა, დიდი ნაკლოვანებანი შრომის ნორმირების, ხელფასის ორგანიზაციის დარგში ამცირებენ მის მასტიმულირებელ როლს, აფერხებენ ნაყოფიერების ზრდას. ასეთ მდგომარეობას ვერ შეეურიგდებით. თითოეული შრომელის გასამჯელოს ოდენობა ზუსტად უნდა შეგუსაბამოთ მისი შრომის შედეგებს. ის, რომ შრომის ანაზღაურების ზრდა მკაცრად იყოს დამოკიდებული მისი ნაყოფიერების გადიდებაზე, თანამედროვე პირობებში მეურნეობრიობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა და ჩვენ მთელი სიმტკიცით ვიღვაწებთ მისი განუხრელი შესრულებისათვის.

ამ პოზიციებიდან განისაზღვრა ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული უდიდესი ღონისძიების გეზი და განხორციელების წესი — სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდება.

საჭიროდ არის მიჩნეული ახალ ტარიფებსა და სარგოებზე გადასვლა მატერიალური წარმოების დარგებში განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში—პრაქტიკულად ერთი ხუთწლედის განმავლობაში. დასახულია მათი გადიდება საშუალოდ 25-30 პროცენტით და, ალბათ, რაც ყველაზე არსებითია—შემუშავდა პრინციპულად ახალი, აქტიური მიდგომა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სახსრების წყაროების საკითხში. ამიერიდან საამისოდ საჭირო სახსრები უნდა გამოიმუშაონ უმთავრესად, თვით შრომითმა კოლექტივებმა წარმოების, მისი ეფექტიანობის ზრდის შინაგანი რეზერვების მობილიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების გზით.

ასეთი მიდგომა ახალი განაკვეთებისა და სარგოების შემოღებას უშუალოდ უკავშირდებარეს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. იგი ემყარება მეურნეობრიობის ახალ პირობებში მრეწველობისა და სხვა დარგების მრავალი საწარმოს გამოცდილებას. ეს მეთოდი ექსპერიმენტულად შემოწმდა ბელორუსიის რკინიგზაზე, სადაც ტარიფები და სარგოები გაიზარდა შინაგანი წყაროების ხარჯზე. ისინი გამოიძახა დიდი მოსამზადებელი ეკონომიკური და ორგანიზაციული მუშაობის, ტექნიკის უკეთ გამოყენების შედეგად.

დიდი სახსრები ხმარდება არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების გადიდებას. გაისად, როგორც სკოლის რეფორმით არის გათვალისწინებული, დამთავრდება სახალხო განათლების ყველა მუშაკის გადაყვანა ანაზღაურების ახალ პირობებზე. ეტაპობრივად მოემატებათ ხელფასი ექიმებს, სხვა სამედიცინო პერსონალს. მეთორმეტე ხუთწლედში აგრეთვე გაიზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების, უმაღლესი სკოლების, ცალკეული კატეგორიების მუშაკთა გასაკვეთები და სარგოები. ეს ღონისძიებები კონკრეტულად გამოხატავენ პარტიის ზრუნვას სოციალურ-კულტურული სფეროს, შემდგომი განვითარებისათვის.

შრომის ანაზღაურების დარგში ღონისძიებათა განხორციელების მეოხებით მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი ხუთწლედის დამლევისათვის 215-220 მანეთამდე გაიზრდება.

უფრო სწრაფი ტემპით მოიმატებს შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებში. შრომის ნაყოფიერების დასახული გადიდების შესაბამისად იგი საშუალოდ თვეში 180 მანეთამდე გაიზრდება. პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით კოლმეურნეთა შემოსავალი პრაქტიკულად გაუთანაბრდება მუშამოსამსახურეთა შემოსავალს. შრომის ტექნიკური აღჭურვის ზრდასთან, სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის უპირატეს განვითარებასთან ერთად ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტაში, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევაში. **(ტაში).**

შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის განმტკიცებასთან ერთად კვლავ თანამიმდევრულად განვითარდება მობმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში. ხუთწლეულის განმავლობაში ეს ფონდები მნიშვნელოვნად გაიზრდება და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1990 წელს 600 მანეთს გადააჭარბებს.

თავის სოციალურ პოლიტიკაში პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოზარდი თაობის აღზრდის პირობების გაუმჯობესებას. მეთორმეტე ხუთწლედში ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების გეზი კიდევ უფრო მეტად განვითარდება. ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მოსავლელად მომუშავე დედისათვის ანაზღაურებული შვებულების მიცემამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შემოვიღეთ, კარგი სოციალურ-დემოგრაფიული ეფექტი მოგვიტანა. ამის და ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვის დროს გამოთქმული მოქალაქეთა სურვილების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კიდევ ნახევარი წლით გახანგრძლივდეს შვებულება. **(ტაში).** გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ ქალებს გაუღიდდეთ მშობიარობამდელი შვებულება და ანაზღაურებული დრო ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის, უფასოდ გაიცეს წამლები სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეა უახლოეს წლებში ისეთი საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრა, როგორიც არის სკოლამდელ დაწესებულებებზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ ამოცანის რეალურად შესრულება შეიძლება. და იქ, სადაც მას სათანადო ყურადღებასთან უთმობენ, ისინი უკვე ახლა გადაჭრილია. ამიტომ აუცილებელია სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი ორგანოები ნიადაგ უწევდნენ კონტროლს სამაგშო ბაღებისა და ბაგების მშენებლობის საკითხს.

დიდი სახსრები მოხმარდება საკენსინო უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის საზოგადოების ზრუნვის გაძლიერებას. დასახულია არსებითად გაიზარდოს სახლ-ინტერნატების ქსელი და გაუმჯობესდეს მათი მუშაობა. გაფართოვდება შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების პროგრესული ფორმების გამოყენება.

შრომის ანაზღაურების გადიდებისა და საზოგადოებრივი ფონდების განვითარების დარგში დასახული ღონისძიებების განხორციელებას მეთორმეტე ხუთწლედში რეალური საგრძნობი ცვლილებები მოაყვანა საზოგადოების ყველაზე ფართო ფენების ცხოვრების პირობებსა და დონეში. მარტო ხელფასის, პენსიებისა და დახმარების გადიდებას საერთო სახელმწიფო ღონისძიებათა მეოხებით შემოსავალი გაეზრდება მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. **(ტაში).** ეს თითქმის ერთიორად მეტია, ვიდრე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ხუთწლედის დასრულებისათვის ყველა ოჯახის 50 პროცენტზე მეტს ერთ სულზე ექნება 125 მანეთზე მეტი საშუალო თვიური შემოსავალი. პრაქტიკულად არ იქნება ოჯახი, რომელსაც საშუალოდ სულზე თვეში დაახლოებით 50 მანეთი შემოსავალი არ ჰქონდეს.

მეთორმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამიმდევრულ განმტკიცებას. სკოლის რეფორმის დაგალებების შესაბამისად დასახულია 1,4-ჯერ გაიზარდოს სამსწავლო ადგილები, გაუმჯობესდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პირობები. აგრეთვე უნდა განვახორციელოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნა. იგი მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესდეს სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, გაუმჯობესდეს წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთობა, მათი აქტიური მონაწილეობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. ყოველივე ეს აგრეთვე საჭიროებს უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესებისათვის, მისი პროფილაქტიკური მიზანმიმართულების გაძლიერების, მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციაზე თანდათანობით გადასვლისათვის. დაახლოებით ერთნახევარჯერ გაიზრდება საამბულატორიო-პოლიკლინიკური დაწესებულებების მშენებლობა, სამედიცინო ტექნიკის წარმოება. ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა იქნება გარემოს დაცვის დასახული ღონისძიებათა რეალიზაციას.

დიდი მასშტაბით განხორციელდება კულტურისა და სპორტის ობიექტების მშენებლობა. მაგალითად, ხუთწლეულის განმავლობაში გათვალისწინებულია აშენდეს 500-ზე მეტი რაიონული კულტურის სახლი და 5,5 ათასზე მეტი კლუბი სოფლად. ამის შედეგად ყოველ რაიონულ ცენტრს იქნება კულტურის სახლი. **(ტაში).**

ამრიგად, უკვე მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია გადავდგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი პარტიის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტის გზაზე — ავიყვანოთ სოციალურ-კულტურული სფეროს დარგები თვისებრივად ახალ დონეზე.

ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს ძირფესვიანად შეიცვალოს სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მშენებლობისადმი, როგორც მეორეხარისხოვანი საქმისადმი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, მათ შორის საგეგმო ორგანოებიც. უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალურ-კულტურული სფეროს მთელი რიგი დარგების განვითარებისათვის გათვალისწინებული 1986 წლის კაპიტალდაბანდებანი ნაკლებია ხუთწლეულის განმავლობაში მათ საშუალო წლიურ ოდენობაზე. ეს უნდა გამოვასწოროთ ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას.

და, რა თქმა უნდა, ყველგან უნდა უზრუნველვყოთ ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრების სრული და ეფექტიანი ათვისება. მათი ბაძოძებნა იოლი როდია, და საჭიროა ყაირათიანად მოვიხმართოთ ისინი. ბელორუსიაში, ლიტვაში, რუსეთის სფს რესპუბლიკის ბევრ ოლქში შეძლეს საქმე ისე წარმართათ, რომ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ამოქმედების გეგმებს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ. ზოგიერთი რესპუბლიკა და ქალაქი კი სისტემატურად, წლითიწლობით ფუშაგს სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებს. კი, ორი კონკრეტული მაგალითი, ამხანაგები: უკვე ცხრა წელია შენდება კლინიკური საავადმყოფოს მეორე რიგი. მისი ამოქმედება დაგეგმილია მხოლოდ 1989 წლისათვის, და ეს მაშინ, როცა მისი ნორმატიული ვადა სამ წელიწად-ნახევარი იყო. შეუწყნარებლად დიდხანს შენდება ერასნოიარსკის სამხარეო საავადმყოფოს სამკურნალო კორპუსი. ეს შემთხვევა განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, ვინაიდან საქმე ეხება ობიექტს, რომელიც შენდება საკავშირო კომუნისტურ შაბათობებზე გამომუშავებული სახსრების გამოყენებით. ასეთივე ფაქტებია აგრეთვე საქართველოსა და უზბეკეთის სს რესპუბლიკებში, ხაბაროვსკის მხარეში, პერმისა და სხვა ოლქებში.

პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანია საბინაო პრობლემის გადაჭრა. ამ საქმეში საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ. ახლა ქალაქად ოჯახთა 80 პროცენტზე მეტი ცალკე ბინებში ცხოვრობს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფა. და მიუხედავად ამისა, ეს კვლავინდებურად რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში უნდა უზრუნველვყოთ დაახლოებით 565-570 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა. მნიშვნელოვანი რესურსები მოხმარდება ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას. კომუნალური მეურნეობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას.

ბინის პრობლემის სამწვავე საჭიროებს ძალებისა და სახსრების უკიდურეს მობილიზაციას. აგიოლობრივი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები უმეტესწილად სწორედ ასე უდგებიან ამ საკითხს. მაგრამ გვაქვს სხვაგვარი მაგალითებიც. მაგალითად, სომხეთის სს რესპუბლიკაში ყოველწლიურად არ სრულდება ბინების ამოქმედების გეგმები, თუმცა მოთხოვნილება დიდია. მთელი რიგი ქალაქების მოსახლეობა არადამაკმაყოფილებლად მარაგდება წყალით. ამავე დროს რესპუბლიკაში გეგმით გაუთვალისწინებელ მშენებლობაზე. საიჯარო ორგანიზაციების მოცდენის პრაქტიკა. 1985 წელს სომხეთის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრომ ააშენა 12 ობიექტი, რომლებიც არ იყო გეგმით გათვალისწინებული, მათ შორის არც უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა სხვა რეგიონებშიც არის ფეხმოკიდებული და იგი ძირიტად აქტიური, ცოცხალი ადამიანები, ნამდვილი ქმედების უნარი რომ შესწევთ. ერთი სახუკვარი ოცნება მაქვს—დავდგა სპექტაკლი პარტიულ მუშაკზე, ნამდვილ კომენსტაზე, მებრძოლ ადამიანზე, ჩემს თანამედროვეზე. ბევრ ასეთ ადამიანს ვიცნობ, ცხოვრებისეული ურთიერთობა მაქვს მათთან. მაგრამ ლიტერატურაზე, სცენაზე, კინოში ასეთი გმირები, სამწუხაროდ, ნაკლებად გვხვდება.

ჩვენ გვჭირდება სხვადასხვანაირი გმირები, მათ შორის ისეთნაირიც, ეს-კი არის რომ გამოვარჩიეთ ცხოვრების დინებაში, ჯერ კიდევ ბოლომდე რომ ვერ გამოვიცანით. დაე ხვდებოდეს ამ გმირს სიძნელეები, ტრაგიკული კონფლიქტები, მაგრამ დაე რჩებოდეს იგი მაინც გმირად, ნიმუშად, რომლის ბედსაც განიცდი, რომლისაც გჯერა, რომლის მხარეზეა ჭეშმარიტება, ისტორიული ჭეშმარიტება.

ამასთან დაკავშირებით ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა ხელოვნების პროფესიულად მიმდევარი ადამიანების მზარდი პასუხისმგებლობა შექმნილი ნაწარმოებების იდეური სიღრმისა და მხატვრული სრულყოფილებისათვის. პასუხისმგებლობის საწყაო, რომელსაც კულტურის მოღვაწე კისრულობს, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს ულმობელ მხატვრულ და მოქალაქეობრივ მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი. თუ მას არა აქვს ეს თვისება, თუ მზად არის შეელოს სიმართლეს წამიერი ინტერესების, ახალმოდური მოთხოვნების გულისთვის, მაშინ მისი პოზიცია არა მარტო უნაყოფო, არამედ უზნეოც არის.

არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს, თქვა შემდეგ ორატორმა, ზოგიერთი თეატრის მისწრაფება რაც უნდა დაუჯდეს შეავსოს დარბაზი, აჰყვეს ცუდ გემოვნებას. გვაშფოთებს ისიც, რომ გაჩნდა ხელოვნების ისეთი მომხმარებელი, რომელიც თეატრისა თუ კინოს დარბაზში შედის, ტელევიზორის წინ სავარძელში ეშვება უგულისყუროდ, გულგრილად. იმის რწმენით, რომ ახლა მას გაართობენ. კულტურის როგორც გართობის, როგორც პრიმიტიული საყოფაცხოვრებო სამსახურის გაგება მარტო გულუბრყვილო შეცდომა კი არა, პრინციპული შეცდომაც გახლავთ.

ხელოვნების სპპტიო ამოცანა ის არის, რომ უბრალოდ კი არ აკმაყოფილებდეს მაყურებლის ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, არამედ — და ეს მთავარია — აყალიბებდეს კიდეც ამ მოთხოვნებს, ავითარებდეს ნამდვილ ღირებულებათა სწორ გაგებას. ჩვენ რატომღაც ნებისით თუ უნებლიეთ დაგვავიწროდა ცხოვრებისეული თვალსაწიერი, ზოგჯერ აბსტრაქტული ჰუმანიზმის, პაციფიზმის პოზიციებზე, ავთა და კარგის არაკლასობრივი ცნებების პოზიციებზე ვიხეკთ. ამის გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ.

დიან, უფლება არა გვაქვს თვალი დავხუჭოთ ჩვენს ნაკლოვანებებზე, მათ შესახებ გულახდილად, გულისტკივილით, საჯაროდ უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ განა ღირს, ჯანსაღ სხეულზე წარმოქმნილი წყლულის დანახვისას თავში ხელების ცემა? განა ამას უფრო ის არა სჯობს, დავეხმაროთ ადამიანსა და საზოგადოებას სნეულებისაგან განკურნებაში, ვუჩვენოთ მანკიერებასთან ბრძოლის მექანიზმი, გამოვუმუშაოთ მას ყოველგვარი სოციალური ვირუსის იმუნიტეტი.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო დიდმნიშვნელოვან ორ საკითხს, რომელიც ხელოვნების იდეურ-შემოქმედებითი დონის ამაღლებაში ეკუთვნის მხატვრულ კრიტიკას. დიდ პარტიულ პრინციპულობასა და პროფესიულ მომთხოვნელობას უნდა იჩენდნენ შემოქმედებითი კოლექტივებისა და კავშირების კომუნისტები. ხელოვნება უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, სახელმწიფო საქმეა. და მას უნდა ვასრულებდეთ როგორც უმთავრეს, ყველაზე პასუხსაგებ პარტიულ დავალებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში მოცემული ანალიზის სიღრმეს, ჩვენი ცხოვრების ძირეული საკითხების გულახდილ და გაბედულ ჩამოყალიბებას მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტია და ხალხი, თქვა სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ბ. ეოლოდინმა.** ბევრი ნეგატიური მოვლენა იყო ჩვენს ოლქშიც. აქ დაუშვეს სერიოზული გადახრები ხელმძღვანელობის კოლექტიური, პარტიული პრინციპებისაგან, სუბიექტივიზმი, ალამაზებდნენ სინამდვილეს, სიტყვას საქმე არ მოსდევდა, ზნეობრივად დაეცა ზოგიერთი ხელმძღვანელი. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ქალაქ როსტოვში, რომელიც ფაქტობრივად გაყვანილი იყო კრიტიკისა და კონტროლის ზონიდან. ყოველივე ამის შედეგად უზარმაზარი ზიანი განიცადა კადრების აღზრდამ. ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საქმის ვითარებაზე ეკონომიკასა და სხვა სფეროებში. ოლქმა ვერ შეასრულა ხუთწლედის საკონტროლო დავალებანი მეტ წილ ძირითად მაჩვენებელთა მიხედვით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა ამ მოვლენებს, და ამ შეფასებას მთლიანად იზიარებენ და უჭერენ მხარს ოლქის კომუნისტები და მშრომელები. სკკპ საოლქო კომიტეტმა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დახმარებას, კომუნისტების აქტიურ მხარდაჭერას ემყარება, გაბალა შეუპოვარი და თანამიმდევრული შუმაობა, რომლის მიზანია დარღვევებისა და ბოროტმოქმედებების აღმოფხვრა, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, ორგანიზებულობის, დისციპლინისა და წესრიგის საყოველთაო დამკვიდრება. მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს, მაგრამ ჩვენ ჯერ გზის დასაწყისში ვართ.

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ყრილობის დღიური

(გაგრძელება)

მაგრამ უკვე დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ გიგანტური შთამაგონებელი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მთელი ძალებისა და რესურსების დარაზმვას, მოითხოვს, რომ თითოეული ჩვენგანი იყოს უფრო აქტიური, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი. ჯანმრთელობას კი, როგორც ეს ძალიან სწორად არის ნათქვამი მოხსენებაში, აფთიაქში ვერ იყიდი.

ყველასათვის ცნობილია ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ჩვენს ფსკოვის ოლქში, მაგალითად დღეს სამი ათასამდე ექიმი და ათი ათასი საშუალო მედიცინის მუშაკია. მოქმედებს ასზე მეტი პოლიკლინიკა და საავადმყოფო.

ოც წელზე მეტია ექიმად ვმუშაობ ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი — ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. იგივე ფაკულტეტი დაამთავრა ჩემმა ქმარმაც, რომელთანაც ერთად ვმუშაობ ერთ საავადმყოფოში. ამ ფაკულტეტზე ახლა სწავლობს ჩვენი უფროსი ქალიშვილიც, უმცროსი კი მეათეკლასელი, რომელიც საავადმყოფოში პრაქტიკას გადის სანატრად, აგრეთვე ოცნებობს ექიმი გახდეს.

ჩვენთან საავადმყოფოში შრომობს მედიცინის მუშაკთა არა ერთი დინასტია. ბუნებრივია, ოჯახში, თანამოსაქმე ამხანაგების წრეში, პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც მთელი რიგი წლების განმავლობაში სათავეში ვედექი, ნიადაგ ვმსჯელობთ ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებზე.

დღეს განსაკუთრებით მინდა ყურადღება მივაპყრო დაავადებების პროფილაქტიკას, მოსახლეობის დისპანსერიზაციას. ჩვენმა ქვეყანამ, მსოფლიოში პირველად, დაიწყო ამ პრობლემის გადაჭრა მ

საოცდაშვიდეთი ნათელი გაზაფხული

4 მარტი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა

დღეს აფხაზეთი თანასწორია საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და გულდაჯერებით მიაბიჯებს მომავლისაკენ. წლევანდელი დღესასწაული აღინიშნება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის პირობებში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXVII ყრილობის მუშაობით, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ გაკეთებული პოლიტიკური მოხსენებით.

ყრილობისათვის მზადების პერიოდში აფხაზეთის შრომითმა კოლექტივებმა ხორცი შეასხეს თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს, ორი თვის ვეგმა შეასრულეს 27 თებერვალს, საუკეთესო კოლექტივებმა კი იანვარ-თებერვლის დავალება კომუნისტთა ფორუმის გახსნის დღისათვის. ეს იყო შრომითი ნობათი ქართველი ხალხის დიდი დღესასწაულისთვისაც, რომელმაც ამ დღეს საბჭოთა საქართველოს 65 წლისთავი იზეიმა.

დღეს საყრილობო შრომითი შემართება კიდევ უფრო ძლიერდება. ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებში პროდუქციას უშვებენ გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით და მაღალი ხარისხით. მთელი რიგი კოლექტივები შრომობენ დაზოგილი ნედლეულით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით.

მეთერთმეტე ხუთწლედი წითელდროშოვანი ხუთწლედი გახდა ავტონომიური რესპუბლიკისათვის. ოთხი წლის მანძილზე ხედიზედ მეოთხედ მეინჭა მრომელ აფხაზეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ახლახან გამართულ კრებაზე შრომითი დიდების ეს სიმბოლო სამუდამოდ გადაეცა აფხაზეთის მშრომელებს.

მრავალეროვანი საბჭოთა აფხაზეთის მთელი ისტორია მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში ლენინური სტრატეგიის თანამიმდევრული განხორციელების ნათელი დადასტურებაა.

აფხაზეთის ასსრ მაგალითით თვალსათლოვ და დამაჯერებლად დასტურდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული პოლიტიკის მთელი სიბრძნე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიის უფდმივი ზრუნვის, საბჭოთა ხალხის ძმური დახმარების წყალობით, ასმაგად გაიზარდა აფხაზეთის სამრეწველო პოტენციალი. დღეს არასრული დღეღამის მანძილზე რესპუბლიკა იმდენ პროდუქციას უშვებს, რამდენსაც იგი აწარმოებდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს. აფხაზეთის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის გადამწყვეტი გაჩდა ავტონომიური რესპუბლიკისათვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი. ამ დოკუმენტების მიღებიდან განვლილი წლების მანძილზე უდიდესი სამუშაო განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 57 პროცენტით გაიზარდა. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 132 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რომელიც ძირითადად მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. განვლილი პერიოდის მანძილზე თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მოცულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება და დამზადება.

განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიაღწიეს მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, უფრო სრულად კმაყოფილდება მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებით აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი. ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონში, რომლებსაც სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში წამყვანი პოზიციები უკავიათ, ინტენსიურად მიმდინარეობს დაჭაობებული მიწების დაშრობისა და ფართობების რწყვის, სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებას საუშაოები. აფხაზეთში მოლიანად შეწყდა ტყის სამრეწველო ჭრა, ბევრი რამ გაკეთდა შავი ზღვის აუზის დაცვისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდ მოვლენად იქცა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. მისი ახალი კომპლექსის მშენებლობისათვის ქალაქ სოხუმში გამოიყო 42 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს, რომლებიც ახლაც აქტიურად ეხმარებიან მას. მაგრამ მათ შორის უპირველესია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს საშეფო დახმარების სახით გადასცა 20 ათასი ტომი სასწავლო ლიტერატურა, ორი ლიხგაფონური კაბინეტი რუსული და უცხო ენების შესასწავლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან ერთად დაიწყო აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემები. სოხუმის ცენტრში შენდება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახლი, მთავრდება პრესის სახლის მშენებლობა.

უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ უფრო განვითარდა მეცნიერება აფხაზეთში. ახლა აქ დაახლოებით ოცი სამეცნიერო დაწესებულება და ორი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პრობლემაზე მუშაობს ათასზე მეტი მეცნიერი. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად აფხაზეთში დაადგინენ მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის, ისეთ გამოკვლევათა განხორციელების კურსს, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე მეცნიერების, საშეურნეო და კულტურული მშენებლობის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი პოზიტიური გარდაქმნები მიმდინარეობს ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სფეროში. გამოიცა ახალი ჟურნალები, გაიზარდა გამომცემლობა „ალაშარის“ პროდუქციის მოცულობა.. აფხაზური ეროვნული კულტურის დიდ მიღწევად ითვლება მხატვრული ფილმების შექმნა, რომლებიც აშუქებენ აფხაზეთის ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებას.

მნიშვნელოვანია აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების წარმატებები. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნათელი გამოვლინებაა აფხაზეთის ასსრ დედაქალაქში სამი თეატრის შექმნა. ახლა სოხუმში მოქმედებს ს. ჭანბას სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი აფხაზური სახელმწიფო თეატრი, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი. სოხუმის რუსული სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრი. მაღალ მწვერვალებს მიაღწია აფხაზური ლიტერატურამაც. მას თავისი ძლიერი და მკაფიო ხმა აქვს საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ანსამბლში.

ამ დღეებში აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ენერგიული დაწყებისა და წარმატებული დამთავრებისათვის.

წინ დიდი სამუშაოა გველის. საჭიროა საბოლოოდ დაფძლიო ნეგატიური გამოვლინებანი ცხოვრების ყველა სფეროში, გაძლიერდეს ბრძოლა �рძოლის წინააღმდეგ. გამოვიყენოთ თითოეული [illegible] ადამიანი [illegible] ეფექტიანი და [illegible] ეკონომიკურ [illegible] ამოცანების [illegible] ეფექტიანად [illegible] ეფექტ